CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია 50 თ

## გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ გაფრთხილებთ:

1. მიეცით აცილება მოსამართლე თამაზ ურთმელიძეს — მისი განაჩენი შესაძლოა, უსამართლო აღმოჩნდეს!!!

2. ყურადღებით ნახეთ სუპერმარკეტების ქსელ „ფრესკოში“ საყიდელი პროდუქტი ხომ არ ყარს?

12-13

N65 2995/ 1 მაისი 2014 წ ფასი 50 თ
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

### გიორგი შენგელაია: „ბატონო ირაკლი, დამელაპარაკეთ... თქვენს გარშემო საბავშვო ბაღია“



### რაში ადანაშაულებენ დეპუტატ ირმა ნადირაშვილის გამგებელ მეუღლეს?



### რა შეცდომები დაუშვა არასაპარლამენტო ოპოზიციამ?



### ქართული ჟანგბადი 5 დოლარად ერაყის მოქალაქეებისთვის... თბილისის აეროპორტში



## ვალერი გელბახიანი: „ბიძინა ივანიშვილი დავით უსუფაშვილს პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადააყენებს“



## „ოცნება“ თუ დაარქვი, მამაცხონებულო, ოცნება უნდა წამიწყმიდო“?



„თუ ეს პროექტი მაინც მიიღეს, უნდა გამოვიდეთ გარეთ და ეს პარლამენტი გამოვათრიოთ სათითაოდ და კუდით ქვა უნდა ვასროლინოთ აქედან, აი, ეს უნდა ვქნათ!“

## რას გვატყუებს პარლამენტი „ელგებეტეების“ უფლებების დაკანონებაზე?



რა კანონი მოქმედებს ევროპულ საფრანგეთში?

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თურქეთში გაემგზავრა



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, თურქეთში რელიგიის საქმეთა მინისტრის მიწვევით ჩავიდა. ამჟამად ის ტრაპზონში იმყოფება. რელიგიის მინისტრთან პატრიარქის შეხვედრა 2 მაისისთვის არის ჩანიშნული. შეხვედრაზე განსახილველი თემები და სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

თურქეთის რელიგიის საქმეთა მინისტრთან შეხვედრა და ვიზიტი ახლახან სტამბულში, მსოფლიო პატრიარქთან ილია მეორის ყოფნის დროს დაიგეგმა. (ინტერპრესნიუსი)

### მოვაჭრეებისთვის საგადასახადო შეღავათით სარგებლობის უფლება ხანგრძლივდება



ბაზრობის მოვაჭრეებს სალარო აპარატების გარეშე საქმიანობის შესაძლებლობა 2015 წლის 1-ელ იანვრამდე უგრძელდებათ.

ამ მიმართულებით „საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებები შევიდა. პროექტი დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძემ მოამზადა და განხილვის პროცესი პარლამენტში დაწყებულია.

კანონპროექტის შესაბამისად, ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან, მათ შორის დახლიდან, 2015 წლის 1-ელ იანვრამდე საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისგან თავისუფლდებიან. (ინტერპრესნიუსი)



დავით დაღელაშვილი

# რაში ადანაშაულებენ დეპუტატ ირმა ნადირაშვილის გამგებელ მეუღლეს?

**რაში ადანაშაულებენ ჩუღურეთის გამგებელს, საპარლამენტო უმცირესობის წევრის, ირმა ნადირაშვილის მეუღლე დავით დაღელაშვილს? რა აწუხებს „ქართული ოცნების“ შტაბს?**

**„ალიას“ „ქართული ოცნების“ ჩუღურეთის რაიონული შტაბის წევრი, ასმათ აბაშიძე დაუკავშირდა:**

– თქვენს გაზეთში წავიკითხე, როგორ დაიწყეს „ნაციონალებმა“ მოსახლეობის გადაბირება, რომ არჩევნებზე ხმები მიიღონ. ეს ასეა და ჩვენი რაიონის მაგალითზე გეტყვით. გამგებელი დავით დაღელაშვილი ადმინისტრაციულ რესურსს იყენებს წინასაარჩევნოდ, კონკრეტული გეგმით მოქმედებს, როგორ მოიგოს არჩევნები. ჩვენი შტაბის წევრია ერთი გოგო, თეა მწყერაშვილი, „ქართული ოცნების“ ოფისში კოორდინატორია და ამავე დროს ამხანაგობის თავმჯდომარეც. მას უთხრა, ოღონდ ჩემთან იმუშავე და შემიძლია დაგეხმაროო. ამ გოგოს სახლის სახურავი აქვს გასაკეთებელი. მე „ქართული ოცნების“ ქვეკოორდინატორი ვარ და არაფერი არ მინდა თქვენიო, უპასუხა. მოვიდა ეს გოგო და თქვა, რაც შესთავაზეს. თვითონ ამ გოგოს ნებართვით გისახელებთ მის ვინაობას, დამაფიქსირეთ, რა შემომთავაზაო. გარდა ამისა, დაღელაშვილი დადის უბანში და ზოგიერთ დევნილს ჰპირდება ე.წ. ორად გაყოფას. რას ნიშნავს ეს, იცით? აი, დევნილები ხომ არიან, მეორედ რომ აძლევენ ბინას, ასეთ რამეს სთავაზობს მათ ხმების სანაცვლოდ. ამხანაგობის თავმჯდომარეებთან აქტიურად მუშაობს, რადგან მათ დიდი ძალა აქვთ უბანზე. ჩვენ ბევრი არაფერი შეგვიძლია, მაგრამ თუ რამის გაკეთებას მოვახერხეთ, მაგალითად, კიბე, ან სახურავი გავუკეთეთ, დაღელაშვილი იწერს ქულებს ამაზე, მე გავაკეთეო. არადა, ახლა შეხვედრებს ვიწყებთ, 500-500-კაციანი შეხვედრები გვექნება, აქტივი გვყავს, მაგრამ დაღელაშვილი ფულით გვიგებს.

**— თუკი გასდის, რატომ არ გააკეთებს? ახლა ერთი რამე მაინტერესებს... მართლა იყო საუბარი თქვენს შტაბში „ქართული ოცნების“ კანდიდატად მელორ ვაჩნაძის დასახელებაზე? ამას იმხელა ხმაური მოჰყვა, რომ ხალხი შტაბს ტოვებდაო.**

– დიახ, ასე იყო და გადაიფიქრეს. კიდევ ჰყავდათ ერთი კანდიდატი, დავით ხუციშვილი და ისიც გადაიფიქრეს, რადგან ის არის ვიქტორ დოლიძის ცოლის ნათესავი. საოლქო კომისიებში სულ „ნაციონალები“ არიან, შტაბი გაგიჟებულია, რას მივაღწევთ, კაცმა არ იცის. თქვენ არ იფიქროთ, ნარმანია არ გავა მერად, მაგრამ ადგილობრივი კანდიდატების გაყვანა გაჭირდება. 20 აპრილსაც ძალიან ხმაურიანი შეხვედრა ყოფილა ამ კანდიდატების შერჩევაზე. ქალებმა იცი, რა უთხრეს თავმჯდომარეს აქ? მელორ ვაჩნაძე რომ დადგეს კანდიდატად, ყველა უბნის უფროსი პოსტს დავტოვებთ და წავალთ აქედანო. არაფერი არ გვინდა თქვენგან საერთოდ, თუ მელორი იქნება კანდიდატიო. დოლიძის ნათესავზე რომ დაიწყეს საუბარი, დოლიძე არ იყო, პარლამენტის არჩევნებში ხმა რომ მივეცით და ჩალაგამოვლებული რომ დაგვტოვა, ერთხელ არ მოუხედავს აქეთო? მოკლედ, მასზეც აგრესია იყო.

**„ალია“ ჩუღურეთის გამგებელს, დავით დაღელაშვილს დაუკავშირდა:**

**— ბატონო დავით, გვითხრეს, რომ წინასაარჩევნოდ მოსახლეობის გადაბირება დაგიწყიათ და ბევრი საყოფაცხოვრებო პრობლემის მოგვარებას ჰპირდებით ხმების სანაცვლოდ.**

– ცალსახად ვამბობ, რომ ეს არის ცილისწამება, ცხოვრებაში ასეთი დაპირებები არ გამიცია. 2 წელია, ვარ გამგებელი და ერთი ადამიანი არ მოიძებნება, ვინც ასეთ ბრალდებას წამიყენებს. 2 წლის მანძილზე ყველა ამ საჭიროებების დაფინანსება ხდება თანადაფინანსების მეშვეობით. იქ არის 19 პუნქტი, როგორც ვიცი. რამდენი სახლი მაქვს გამაგრებული, რამდენი სახურავი მაქვს გადახურული, ეს ყველაფერი არის თანადაფინანსებით. რაც მე 2 წლის მანძილზე ბევრი ეზოსთვის ასფალტი მაქვს დაგებული, სოციალური დახმარება მაქვს გაცემული... საქმეს ვაკეთებ 2 წლის მანძილზე, ეს ჩემი მოვალეობაა, რა შუაშია აქ არჩევნები? რა ვქნა ახლა, ფუნქციურად ვარ ვალდებული, რომ თუ რამეა გასაკეთებელი, გავაკეთო. ოპერაციასაც ვუკეთებ ხალხს, წამლითაც ვეხმარები და რითაც შემიძლია. ჯერ საარჩევნო მარათონი დაწყებული არაა და ერთი ადამიანისთვისაც არ მითქვამს, ხმა მომეცით და ამას გაგიკეთებთ-მეთქი.

**— კონკრეტულ მაგალითს მოგიყვანთ — ამხანაგობის თავმჯდომარეს, თეა მწყერაშვილს სახურავის შეკეთებას დაჰპირებიხართ, თუკი თქვენზე იმუშავებს.**

– ვერ ვიხსენებ ამ ქალბატონს, ჩემს რაიონში არის 1 201 ამხანაგობა, ამიტომ ამდენი ადამიანის სახელი და გვარი არ მახსოვს...

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქართული ჟანგბადი 5 დოლარად ერაყის მოქალაქეებისთვის... თბილისის აეროპორტში



ავიაკომპანია „START AIRLINE“-ის წარმომადგენელმა, ბაჩო თორთლაძემ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 26-27 აპრილს მომხდარი ინციდენტის შესახებ სკანდალური განცხადება გააკეთა. საქმე ეხება ერაყის მოქალაქეების მიმართ სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებს.

„26 აპრილს განრიგის მიხედვით სრულდებოდა ერაყიდან საქართველოს მიმართულებით რეისი სულეიმანია-თბილისი. მას შემდეგ, რაც თვითმფრინავი აეროპორტში დაეშვა და მგზავრები გამოვიდნენ პასპორტ-კონტროლის გასავლელად, 9 მგზავრს უარი ეთქვა საქართველოს ტერიტორიაზე შეშვებაზე. ისინი გადაიყვანეს ნეიტრალურ ზონაში და მოათავსეს დაახლოებით 12 კვ.მ მოცულობის ოთახში, რომელსაც არ ჰქონდა სავენტილაციო სისტემა. თითო მგზავრს თითო ბოთლ წყალში გადაახდევინეს 15 დოლარი. ერაყის ერთ-ერთ მოქალაქეს, რომელსაც ჰქონდა გულის მწვავე უკმარისობა, გადაახდევინეს 5 დოლარი და როგორც სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებმა განუმარტეს მას, ეს გახლდათ ქართული ჟანგბადის ფასი. როდესაც მგზავრებმა მოითხოვეს ახსნა-განმარტება, რატომ ეთქვათ უარი ქვეყანაში შეშვებაზე, კიდევ უფრო გამძაფრდა სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლების მხრიდან აგრესია და ცინიზმი. ისინი გადავიდნენ შეურაცხმყოფელ ფრაზებსა და ფიზიკურ ზეწოლაზეც; ერთ-ერთ მგზავრს რამდენჯერმე გაარტყეს სახეში ხელი.

ერაყის მოქალაქეებმა მოითხოვეს უკან დაბრუნება ჩვენი კომპანიის რეისით, თუმცა მათ უარი უთხრეს სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებმა და ალტერნატივის სახით შესთავაზეს თბილისი-თურქეთი-თურქეთი-სულეიმანიის მიმართულებით გამგზავრება. ამ შეთავაზებაზე მგზავრებმა თავდაპირველად უარი განაცხადეს. ამის შემდგომ მათ ჩამოართვეს პასპორტები და მობილური ტელეფონები. შეშინებული მგზავრები იძულებულნი გახდნენ დასთანხმებოდნენ შეთავაზებას. პოლიციამ თითოეულ მგზავრს გამოართვა 900-900 დოლარი, მაშინ როცა თბილისი-სტამბული-სტამბული-სულეიმანიის მიმართულებით ბილეთის ფასი 400 დოლარია. ჯამში, მგზავრებს 14 000 დოლარი გამოსძალეს“, – განაცხადა ავიაკომპანიის წარმომადგენელმა.

მისივე ინფორმაციით, მსგავსი ინციდენტი განმეორდა 27 აპრილს, ერბილ-თბილისის რეისზე, როდესაც 19 მგზავრი აღმოჩნდა ანალოგიურ სიტუაციაში.

START AIRLINE-ის წარმომადგენლის განცხადებით, ადგილი აქვს დანაშაულს. კერძოდ: ცემის, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების, პირადი ღირსების შელახვისა და ფულის გამოძალვის ფაქტებს. კომპანია აღნიშნულ ინციდენტს განიხილავს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებად, რომლის მიზანიც ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის დისკრედიტაციაა და მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურატურას, დაუყოვნებლივ აღძრას სისხლის სამართლის საქმე.

ბაჩო თორთლაძის განცხადებით, როგორც კომპანია START AIRLINE, ასევე 28-ე დაზარალებული მგზავრი მზაობას გამოთქვამს, ჩამოვიდეს საქართველოში და ითანამშრომლოს გამოძიებასთან. მისივე განმარტებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მომხდარი ინციდენტის შესახებ კომპანიისთვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მგზავრები თურქეთში ჩავიდნენ და წერილის საშუალებით მომხდარის შესახებ კომპანია START AIRLINE-ს შეატყობინეს.

კომპანია ეჭვობს რომ, ყველაფერთან ერთად, ადგილი აქვს ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას.
(ნიუპოსტი)

## ნინო ბურჯანაძე: „ჩვენ რა, რუსეთში ვართ?“



„ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ ლიდერი ანტიდისკრიმინაციული კანონის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს „ხელოვნურად ინსპირირებულს“ უწოდებს.

„სრულიად გაუგებარია, „ქართული ოცნების“ პოზიცია, რაში სჭირდება „ქართულ ოცნებას“ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ისედაც არის საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერილი. ის ფაქტი, რომ დისკრიმინაციას არავინ არ უნდა ეგუებოდეს, საერთოდ კითხვის ნიშანსაც არ იწვევს. მაგრამ ასეთი აფიშირება და რეკლამირება იმ თემებისა, რომელიც ანტიდისკრიმინაციული კანონის უკან დგას, ნამდვილად არ შედის საქართველოს სახელმწიფო ინტერესებში. ეს არის ხელოვნურად მოტანილი თემა, იმ მიზეზით რომ ყურადღება იქნას გადატანილი სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხებისგან. მე არ მესმის, ვის საქმეს აკეთებენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და საერთოდ ვერ გავიგე, რა მიზანს ემსახურება დავით უსუფაშვილის განცხადება, რომ თურმე ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებაზე ყოფილა დამოკიდებული, ჩვენ ევროპისკენ წავალთ თუ დავრჩებით რუსეთში. ჩვენ რა, რუსეთში ვართ? მე მეგონა, რომ რუსეთში არ ვიყავით. აღმოჩნდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე თვლის, რომ თურმე ჩვენ რუსეთში ვყოფილვართ. ესეც ძალიან სერიოზული კითხვის ნიშანია. არავინ არ აყენებს საკითხს ასე, რომ საქართველოს მოსახლეობამ არჩევანი გააკეთოს ევროპასა და რუსეთს შორის. ასე საკითხის დაყენება ეს არის, ნამდვილად საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება. ასე საკითხის დაყენება, ნამდვილად არ ასხამს ევროპისა და დასავლური ცივილიზაციის და ფასეულობების წისქვილზე წყალს. ასე რომ, ბატონებო, ან დაუკვირდით, რა განცხადებას აკეთებთ, ან მაშინ ჩვენ ვიფიქრებთ, ვის საქმეს აკეთებთ! საქართველოს საქმე ამით ნამდვილად არ კეთდება“, – განაცხადა ბურჯანაძემ. (ნიუპოსტი)

## „ეკლესია უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციას ითხოვს, რაც გაუმართლებელია“



როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, ეკლესია ითხოვს დისკრიმინაციას სხვადასხვა უმცირესობების მიმართ და ეს ყოვლად გაუმართლებელია. ასე აფასებს დეპუტატი სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარ დავით ლასურაშვილის განცხადებას, რომლის თანახმად, „თუ ხელისუფლება ეკლესიის პოზიციას არ გაითვალისწინებს, ეკლესიის წევრებს აქვთ უფლება, მოითხოვონ იმ დეპუტატების ანათემას გადაცემა, რომლებიც ანტიდისკრიმინაციულ კანონს მხარს დაუჭერენ“.

„ყველა სექტორს თავისი ფუნქცია აქვს, არასამთავრობო სექტორს – თავისი, ეკლესიას – თავისი, სახელმწიფოსა და პარლამენტს კიდევ – თავისი. ყველას აქვს უფლება, გამოთქვას თავისი მოსაზრება. თუ ანათემას გადაგვცემენ, ეს ეკლესიის ნებაა და კი ბატონო, გადაგვცენ. მე უბრალოდ მეცინება, რომ ეკლესიას დაავიწყდა, თავად რომ იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი. ანტიდისკრიმინაციული კანონიდან რაიმე პუნქტის ამოღების მოთხოვნა – ეს უკვე დისკრიმინაციის მოთხოვნაა, ეკლესია ითხოვს დისკრიმინაციას სხვადასხვა უმცირესობების მიმართ და ეს ყოვლად გაუმართლებელია“, – განაცხადა ბერძენიშვილმა. (ფრონტნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





დისკრიმინაციული ელემენტებია.

როცა ჩემს ქვეყანაში არ არის პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება, მაშინ რა დროს სექსუალურ უმცირესობათა თემებზეა საუბარია?.. ასეთ თემებს, ღირებულება მაშინ აქვს, თუ ყველაფერი ანტიდისკრიმინაციულ ფარგლებში განიხილება. თუ დანარჩენი საკითხი არის დისკრიმინაციული, მაშინ მიმიფურთხებია სექსუალური ორიენტაციისთვის, როგორც მთავარი ღირებულებისთვის. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია არასოდეს ერეოდა საკანონმდებლო საქმიანობაში. მე ვფიქრობ, რომ ეს არის მცდარი პოზიცია, უნდა ერეოდეს. როცა პატრიარქმა პარლამენტს მოუწოდა ამ კანონის შეჩერებისკენ, საქართველოს პარლამენტში გაბედა ერთმა პარტიამ და თქვა: მე შიდა ეროვნული პრობლემა და ეს არღვევს ფასეულობათა სისტემას, ამიტომაც ამ საკითხებზე ევროპა არ „გვაწვება“. ბოლოს და ბოლოს, თავი დაგვანებონ ამ საკითხის სპეკულაციით და ანტირუსული საფრთხეებისკენ თითის გაშვერით. სახელმწიფო ვალდებულია, ის საფრთხეც თავად დაარეგულიროს. ნუ გვაშინებენ, ანტიდისკრიმინაციულ კანონს არ მივიღებთ, მაშინ ჩვენი გზა რუსეთი იქნებაო. ნურას უკაცრავად, ამ ტყუილებს ბავშვიც „არ ჭამს“. ეს არის ერის პრინციპული საკითხი, ამიტომ პატრიარქის ხმა იყო – ხმა ერისა, რომელიც არ გაითვალისწინა კანონმდებელმა. პასუხიც თვითონ აგოს 17 მაისებზე, 5 მაისებზეც და ა.შ.

**— უცნაურია, ადგილობრივი არჩევნების წინ ასეთი არაპოპულარუ-**

მოდით, ფრჩხილებს გავხსნი და გეტყვით, ნუ გგონიათ, რომ რაც ხდება, ეს არის პოლიტიკური თამაში, ამ კოალიციაში კონკრეტულ პარტიას აქვს ინფორმაცია, რომ ხელისუფლება ხელს არ მოაწერს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ამიტომ, თამაშობს თავის ფუნქციას, დასავლეთს აჩვენებს, რომ აქ არის პრორუსული ძალა ჩემ გარდა, ამიტომაც ეწევა ამ რისკს. ბატონი ბიძინა უმრავლესობის სხდომაზე რომ იყო მისული, იქ გამოვიდა სიტყვით და თქვა ასეთი რამ: ახლა არც ერთს არ გირჩევთ, კოალიცია დატოვოთ, ერთად იყავით, მაგრამ, ალბათ, საპარლამენტო არჩევნების წინ თქვენ ერთად ველარ იქნებით. ივანიშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ შიდა დაპირისპირე-

# ვალერი გელბახიანი: „ბიძინა ივანიშვილი დავით უსუფაშვილს პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადააყენებს“

**გახდება თუ არა საქართველო ახალი მსოფლიო წესრიგის თანამოზიარე, სადაც ოჯახი, ერი და რელიგია, ლიკვიდირებული იქნება. რატომ წამოსწია უმრავლესობამ ადგილობრივი არჩევნების წინ ისეთი საკითხი, როგორიც არის ანტიდისკრიმინაციული კანონი? რა იმალება ამ ყველაფრის მიღმა?**

**ყოფილი პარლამენტარი, იურისტი ვალერი გელბახიანი „ალიასთან“ სკანდალურ განცხადებებს აკეთებს და ბევრ საინტერესო კულუარულ ინფორმაციას ამხელს:**

– რატომ გვემუქრება პარლამენტის თავმჯდომარე, თუკი ანტიდისკრიმინაციულ კანონს პარლამენტი არ მიიღებს, მაშინ ჩვენ ევროკავშირის ნაცვლად ევრაზიულ კავშირში აღმოვჩნდებით. რატომ გვახვევენ ამ კანონს თავზე მაშინ, როცა შტეფან ფულე შეხვდა პატრიარქს და პირად საუბარში განუცხადა, რომ ჩვენ საქართველოს მოსახლეობას არ ვაიძულებთ, მიიღონ ისეთი კანონები, რომელიც ქართული რელიგიისა და კულტურისთვის მიუღებელია.

– თუ ჩვენ ევროპისკენ მივდივართ, მაშინ ყველა მიმართულებით უნდა ავკრძალოთ დისკრიმინაცია. დავიწყოთ საარჩევნო კანონით, რომელიც არის წმინდა წყლის დისკრიმინაციული, მთავარი უნდა იყოს ის, რომ ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს პოლიტიკური დისკრიმინაცია. საარჩევნო კანონში პირდაპირი ფორმის დისკრიმინაციაა, პირდაპირ გაცხადებულია, რომ არსებობენ ე.წ. შავი და თეთრი პარტიები, ე.წ. არისტოკრატიულ პარტიებს აქვთ უფასო სარეკლამო დრო, რომელთაც ბიუჯეტიდან ეძლევათ ფული, მათ ჰყავთ საარჩევნო კომისიის წევრები, ხოლო „შავი პარტიები“ არიან დაჩაგრულები და მათ არანაირი პრივილეგია არ გააჩნიათ, მაშინ, როცა კონსტიტუცია ამბობს, რომ ყველა ვართ თანაბარუფლებიანი და საერთოდ, ცნება „თავისუფლება“ მოიცავს თანასწორობას. საარჩევნო კომისიის 13 წევრიდან, 12 არის „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი და ერთი „ნაციონალი“, სად არის აქ პოლიტიკური თანასწორობა?.. აგერ, ბატონო, ხელში გვიკავია ფაქტი, რომ საქართველოში არსებობს პოლიტიკური დისკრიმინაციის კანონი. თუ ამ ხელისუფლებას დისკრიმინაციის გასწორება უნდოდა, მაშინ ყველა კანონს უნდა შეხებოდნენ, სადაც კი არ მაინტერესებს, რას ამბობს პატრიარქიო. ეს არის „რესპუბლიკური პარტია“, ეს არ არის სახელმწიფოებრივი მიდგომა, სახელმწიფო არის ერი და რის დაკანონებასაც „რესპუბლიკელები“ ითხოვენ, ეს არ არის ერის მოთხოვნა. საკუთარ თავს მაინც უნდა სცე პატივი, რომ შენი მსოფლმხედველობა არ დაუპირისპირო „ნაციონალურ“ მსოფლმხედველობას. სამწუხაროდ, ჩვენ მივიღეთ ასეთი მდგომარეობა, რაც ვერ გააკეთეს „ნაცებმა“, იმას აკეთებენ „ქოცები“. ამიტომ ასეთ „ქოცებს“ მე პატივს არ ვცემ.

მაინცდამაინც ეს სექსუალური უმცირესობები ამოიჩემეს. იცით რატომ? რომელიღაცა ჯგუფს საქართველოში სურს ამ იდეის გენერაცია საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის. ჩვენ უამრავ ვალდებულებაზე ვთქვით უარი, ჩვენ უნდა მიგვეღო კანონი ეროვნული უმცირესობების შესახებ, მაგრამ არ მივიღეთ, ახლაც გვაქვს ეს ვალდებულება, მაგრამ არ ვაკეთებთ იმიტომ, რომ ეს გამოიწვევს ქვეყნის ფედერალიზაციას, რაც მოიტანს ქვეყნის ეთნიკური ნიშნით დაშლას. ევროპამ კარგად იცის, რომ ეს არის ჩვენი

**ლი კანონით სპეკულაცია, რაში დასჭირდა ხელისუფლებას, რისი მიღწევა სურთ მათ?**

– რატომღაც, ვითომ დასავლური ძალები ხშირად უსვამენ ხაზს, რომ სეკულარიზაცია არის აუცილებელი, რათა მოხდეს ეკლესიის როლის იგნორირება, საპატრიარქო კონფლიქტში არ შედის და



**„საქართველოს პრეზიდენტმა მიმართა მათ, ვინც ევრაზიას აკრიტიკებს: ევრაზიას საბჭოთა კავშირს ნუ ადარებთ, საბჭოთა კავშირი იყო ბოროტების იმპერია, ხოლო ევრაზიის იდეა საბჭოთა კავშირთან შედარებით, ყვავილებით მოფენილი გზა არისო. პრეზიდენტმა გააკეთა მესიჯი, რომ შესაძლოა, ჩვენ ამ ვარიანტს გავყვეთ“**

კარგად იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა. იმ ერს რა ვუთხარი, არჩევნების წინ ასეთ კანონპროექტს რომ გამოიტანენ განსახილველად და იმ პარტიას არჩევნებზე ხმას მისცემენ.

ბაა და მისი გზავნილი ასეთია, – თქვენ მაინც ერთად ვერ იქნებით,

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სალომე ზურაბიშვილი: „17 მაისამდე ყველამ ღრმად შეისუნთქოს!“



საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტთან დაკავშირებით მოსაზრებას „ფეისბუკით“ ავრცელებს.

„ვინ ამზადებს ქვეყანაში არეულობას... 17 მაისი ახლოვდება და რაღაც ცუდი სუნი ასდის... ხელისუფლება ამტკიცებს კიდევ ერთხელ, ევროპელები ითხოვენო ანტიდისკრიმინაციულ კანონსაო.... მაგრამ არც არავინ ხალხს უხსნის, თუ რატომ არის ასე გადაუდებლად საჭიროო (და არის კი?) და რა შედის ამაში და ამ დროს კი ვრცელდება, რომ მხოლოდ სექსუალურ უმცირესობებს ეხება თურმე ეს კანონი; ამავე დროს, არც არავინ უხსნის ევროპელებს – ახლახან ჩამოსულ საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომ შესაძლოა, უკრაინის ფონზე და იმ დროს, როცა რუსეთი სწორედ აგრესიას ავლენს და ამ თემებით (სხვა რა გააჩნია, რომ ვითომ ტრადიციულ მართლმადიდებლური ღირებულების დამცველად მოგვევლინოს!!!!!) აპელირებს, შეიძლება არც დროული იყოს და არც აუცილებელი აჩქარებული ტემპით ისეთი კანონის მიღება, რომელიც საქართველოში არსებულ პრობლემას არ პასუხობს... მეორე მხრივ კი ეკლესია თავისი მხრიდან ამ სიტუაციას ამწვავებს და აქეთ იმუქრება! ამ ორს შორის ხომ ნაცები ურევენ და ურევენ! რა დროს ესაა?.. გვერდით სახლი იწვის ...ჩვენი გადარჩენა კი ჩვენს სტაბილურობაზე, ერთად ყოფნაზე, პროვოკაციებისა და დაპირისპირების აცილებაზე გადის!.. ხელისუფლებას თუ ეს არ ესმის და ნებით თუ უნებლიეთ ხაფანგში ეხვევა, დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრება ...ასევე ეკლესიას... დღეს ყველას ევალება თავშეკავება, დაფიქრება, სიმშვიდე და ფიქრი მხოლოდ ერთი მიმართულებით: როგორ გავიყვანოთ ქვეყანა იქით, მშვიდ სანაპიროზე! ეს ყალბი იდეოლოგიებით – ვინ ვითომ ლიბერალი და ვინ ვითომ ტრადიციონალისტი – არ ხდება. ერთადერთი გზა სახელმწიფოებრივი შეგნება, შემწყნარებლობა და ქვეყნის აშენებაა ნგრევის მაგივრად... ამიტომ ყველამ 17 მაისამდე ერთი ნაბიჯით უკან დაიხიოს, გაჩერდეს და ღრმად შეისუნთქოს!“, – წერს სალომე ზურაბიშვილი. (ფრონტნიუსი)

## რა შემთხვევაში არ მიეცემათ საპენსიო ასაკის ადამიანებს პენსია?



შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს განცხადებით, კანონის თანახმად, საჯარო სამსახურში დასაქმებულ საპენსიო ასაკის ადამიანებს, რომლებიც იღებენ ხელფასს, არ აქვთ უფლება, აიღონ პენსია. მინისტრის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ სოციალურად დაუცველი პირები მიიღებენ მონაწილეობას საარჩევნო კომისიის მუშაობაში, ისინი კვლავ მიიღებენ დახმარებას, ხოლო მათთვის პენსია არ გაიცემა. კერძო სექტორში მომუშავე პენსიონერებს შეუძლიათ, აიღონ როგორც პენსია, ასევე დასაქმდნენ სხვაგანაც, აიღონ ხელფასი, თუმცა თუ მათ მუშაობა დაიწყეს საარჩევნო კომისიაში, ეს უკვე საჯარო სამსახურია და ასეთ შემთხვევაში საჯარო სამსახურში მუშაობის პერიოდში მათ პენსია გაუჩერდებათ.

რაც შეეხება სოციალურად დაუცველ პირებს, დავით სერგეენკოს განმარტებით, არსებული კანონმდებლობით, რომელიც ძალაშია 2010 წლის შემდეგ, როდესაც სოციალურად დაუცველებს გაუჩნდებათ ახალი შემოსავალი, თუნდაც საარჩევნო კომისიაში დროებითი სამსახური, მათ უნდა მოხსნოდათ და ერთი წლის განმავლობაში არ უნდა აღდგენოდათ სოციალური დახმარება, თუმცა, მთავრობის დადგენილებით, როდესაც შემოსავალი სოციალურად დაუცველების შემთხვევაში დაკავშირებულია საარჩევნო კომისიაში მუშაობასთან, მათზე ვრცელდება მორატორიუმი და აღნიშნულ პირებს არ ეხსნებათ სოციალური დახმარება. (კვირა)

*მესამე გვერდიდან*

როგორმე შეინარჩუნეთ ადგილობრივ არჩევნებზე კოალიციური ფორმა და მერე მოგიწევთ ცალ-ცალკე გზით სიარული. ეს გზავნილი ყველასთვის გასაგებია – „რესპუბლიკელებისთვის“, „თავისუფალი დემოკრატებისთვის“, „კონსერვატორებისთვის“, „ფორუმისთვის“ და ა.შ. მათ ზუსტად იციან, რომ ერთად ველარ იქნებიან საპარლამენტო არჩევნების დროს, ამიტომ ყველა ეძებს თავის გზას. ვიღაცა ამერიკელთან, ვიღაცა ევროპელთან, ვიღაცა რუსთან. რაც ხდება, ეს არის კულისური თამაშის კლასიკური გამოხატულება, ვიღაცები ქულებს იწერენ და უმტკიცებენ, რომ ამ ფრონტზე მხოლოდ მე დავრჩი, დანარჩენები კი ჩრდილოეთისკენ მიდიან. 15 ივნისიც მოვა. ახლა გეცნოთ უსუფაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, – საქართველო ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება-არმიღებით არჩევანს გააკეთებს რუსეთსა და ევროპას შორისო.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი არ მოეწერება?**

– გამიკვირდება, თუ ეს მოხდება, ხელი მოეწერება მხოლოდ ერთ ნაწილს. როგორც იცით, იქ არის ორი ნაწილი – პოლიტიკური და ეკონომიკური, თუ მთლიანად ეწერება ხელი პარაფირებულ ნაწილს, მაშინ ჩვენ გვინდა-არგვინდა, უკრაინის სცენარში ვართ, ამიტომ ეს არის ძალიან დიდი რისკი ნებისმიერი ხელისუფალისთვის, ამ რისკზე არავინ არ წავა, როგორც ვიცი, საქართველოდან რუსეთში გაგზავნილია დესპანები და დაწყებულია მოლაპარაკებები, იქ მიდის ამ საკითხებზე საუბარი და შეთანხმება, კულუარული ინფორმაციით, როგორც ვიცი, ქართველები ეუბნებიან, რომ პოლიტიკურ ნაწილს არ მოვაწერთ ხელს, მხოლოდ ეკონომიკური ნაწილით შემოვიფარგლებითო. მე მენიშნა ერთი განცხადება, საქართველოს პრეზიდენტმა მიმართა მათ, ვინც ევრაზიას აკრიტიკებს: ევრაზიას საბჭოთა კავშირს ნუ ადარებთ, საბჭოთა კავშირი იყო ბოროტების იმპერია, ხოლო ევრაზიის იდეა საბჭოთა კავშირთან შედარებით, ყვავილებით მოფენილი გზა არისო.



**„ბიძინა ივანიშვილი ფიქრობს, რომ ჩაატაროს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ამ არჩევნებში თვითონ გამოვა და იქნება ნომერ პირველი, აპირებს, რომ შექმნას ახალი პარტია და დაიწყებს პოლიტიკური სიტუაციის დალაგებას“**

პრეზიდენტმა გააკეთა მესიჯი, რომ შესაძლოა, ჩვენ ამ ვარიანტს გავყვეთ, აქ გამორიცხული არაფერია. რაც შეეხება „რესპუბლიკელების“ მწვავე განცხადებას, ეს ნიშნავს, რომ უკვე მწვავე თამაში წავიდა, რაც თანდათან გაღვივდება და რღვევას დაიწყებს ხელოვნურად შექმნილი კოალიცია.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, საქართველო რა გზას აირჩევს?**

– დარწმუნებული ვარ, საქართველო შევა ევრაზიულ კავშირში.

**— კი მაგრამ, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ხელისუფლებამ უარი თქვას ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე?**

– როგორც ჩანს, ჩვენზე მეტი ინფორმაცია ამერიკელებს აქვთ, ალბათ, პრემიერსა და პრეზიდენტს მიიწვევენ ამერიკაში და ევროპაში, მათ დაარწმუნებენ, რომ ხელი უნდა მოაწერონ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას. საარჩევნო მარათონის წინ რომ ევროპასა და ამერიკაში ვიზიტად იწვევ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალს, ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკური მოლაპარაკებებია. თუ ამ პერიოდში პრემიერსა და პრეზიდენტს მიიწვევენ დასავლეთში, აბსოლუტურად დარწმუნებული ვიქნები, რომ ეს ვიზიტები შეეხება ამ ხელშეკრულების ხელმოწერას. თქვენ მეკითხებით, რა მოტივით უნდა თქვას უარი ხელმოწერაზეო. სავაჭრო თემად უნდა იქცეს ნატო, ისინი ჩვენ უარს გვეუბნებიან ნატოზე, ჩვენც უარს ვამბობთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე, ისევე, როგორც ხელისუფლებას შეუძლია ულტიმატუმი წაუყენოს რუსეთს, – მე მოვდივარ ევრაზიაში, ოღონდ ჩემი ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში. სხვათა შორის, აქვე გეტყვით, რომ დასავლეთში თვლიან, რომ საქართველოში შემთხვევითი ძალები არიან მოსულები, დავაკვირდებით, თუ ეს ძალები მზად არ აღმოჩნდნენ იმ პროცესებისთვის, რაც სჭირდება დემოკრატიული განვითარებისთვის ქვეყანას, ამერიკელებს, რა თქმა უნდა, ექნებათ სხვა პროექტი.

**— მაგალითად, ამერიკელების გეგმა „ბე“ რა შეიძლება იყოს?..**

– თუ საქართველო წავა რუსეთისკენ, მაინც ამუშავდება უკრაინული სცენარი, წავალთ ევროპისკენ, მაინც არ აგვცდება უკრაინული სცენარი. მე ვერ ვხედავ, რომ ხდებოდეს პრევენციული ზომების გატარება, დიპლომატიური კორპუსი პირდაღებულ მდგომარეობაშია და იგრძნობა, რომ ქვეყანაშია მერყევი პოლიტიკური მდგომარეობა. არჩევნების დასრულების შემდეგ, ხელისუფლების ორი-მესამედი თუ არ შეცვალეს, მაშინ ეკონომიკურადაც იძირებიან, არათუ პოლიტიკურად. ეს ხელისუფლება კრიტიკას ვერ უძლებს, მიკვირს, ყველაზე არაპროდუქტიული მინისტრი რატომ დაასახელეს ქალაქის მერის კანდიდატად. ქვეყანაში უძრაობის პერიოდი ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შექმნა, ვინც შექმნა ეს უძრაობის ხანა, ამ უწყების მინისტრი უნდა გახდეს ნომერ პირველი ადამიანი თბილისში. მიკვირს, აქ რა ლოგიკაა?.. ჩემი ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილი ფიქრობს, რომ ჩაატაროს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ამ არჩევნებში თვითონ გამოვა და იქნება ნომერ პირველი, აპირებს, რომ შექმნას ახალი პარტია და დაიწყებს პოლიტიკური სიტუაციის დალაგებას. ჩემი ინფორმაციით, აუცილებლად შეცვლის პარლამენტის თავმჯდომარეს – დავით უსუფაშვილს, ივანიშვილი უკმაყოფილოა მისი მუშაობით, ივანიშვილმა უსუფაშვილს მოსთხოვა, შეცვალე კონსტიტუცია და გადამაყენებინე მარგველაშვილიო, უსუფაშვილმა უთხრა, – კიდეც რომ შევცვალო კონსტიტუცია, მარგველაშვილი 5 წლით არის არჩეული და კონსტიტუცია არ ამოქმედდება მანამ, სანამ ის პრეზიდენტობის ვადას არ ამოწურავსო. ამ საკითხზე მათ შორის დაიძაბა სიტუაცია. ივანიშვილს უთქვამს, თუ კონსტიტუციას შეცვლი და პრეზიდენტს გადააყენებ, მხოლოდ ამის შემდეგ დაგელაპარაკებიო. ჩემი ინფორმაციით, როგორც კი სამთავრობო კარუსელი დატრიალდება, დავით უსუფაშვილს პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადააყენებს. ასე რომ, სულ მალე არ გამოვრიცხავ, რომ სხვა პოლიტიკური სცენარი მივიღოთ და ივანიშვილი თავისი ახალი პარტიით დაუპირისპირდეს კოალიცია „ქართულ ოცნებას“.



**„ივანიშვილი უკმაყოფილოა უსუფაშვილის მუშაობით. უსუფაშვილს მოსთხოვა, შეცვალე კონსტიტუცია და გადამაყენებინე მარგველაშვილიო, უსუფაშვილმა უთხრა, — კიდეც რომ შევცვალო კონსტიტუცია, მარგველაშვილი 5 წლით არის არჩეული და კონსტიტუცია არ ამოქმედდება მანამ, სანამ ის პრეზიდენტობის ვადას არ ამოწურავსო“**

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შეიარაღებულ ძალებს პროფესიული დღე მიულოცა



„გერქვას საქართველოს ჯარისკაცი, უდიდესი პატივია. თქვენ სამშობლოს სადარაჯოზე, ხალხისა და ქვეყნის სამსახურში დგახართ – ერთგულებით, საქმის ცოდნითა და დიდი პასუხისმგებლობით ასრულებთ დაკისრებულ მოვალეობას. ჩვენი ჯარისკაცებისა და მეთაურების საბრძოლო წარმატებები ყოველთვის შეუპოვრობისა და სიმტკიცის მაგალითია.

23 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელ საქართველოს თავისი შეიარაღებული ძალები ჰყავს. ყველას კარგად ახსოვს ის წლები, როდესაც ჩვენს სამხედროებს არ ჰქონდათ ელემენტარული პირობები, მაგრამ ჰქონდათ მთავარი – სამშობლოს ერთგულება და თავგანწირვა.

მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს შეიარაღებული ძალების თითოეულ სამხედრო მოსამსახურეს. თქვენ საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავთ ჩვენს სამშობლოს, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს, სადაც არ უნდა იყოთ, სამშობლოში თუ სამშობლოდან შორს – უცხო მიწაზე“. – განაცხადა პრემიერმა. მან განსაკუთრებული პატივისცემით გაიხსენა სამშობლოსთვის დაღუპული და დაჭრილი ჯარისკაცები.

ირაკლი ღარიბაშვილი საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე სამხედროებსაც მიულოცა, რომლებიც ახლა სამშობლოდან შორს ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს იცავენ და აღნიშნა, რომ მათ პროფესიონალიზმსა და თავდადებას ყველა ჩვენი პარტნიორი ერთხმად აღიარებს.

პრემიერის განცხადებით, მთავრობა შეძლებისდაგვარად ძალისხმევას არ იშურებს, რომ სამხედროებს ღირსეული პირობები შეუქმნას.

„ვახორციელებთ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ვზრუნავთ ჩვენი სამხედროების ჯანდაცვაზე, მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე. სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცებზე ზრუნვა სახელმწიფოსა და ხალხის უპირველესი მოვალეობაა.

გისურვებთ ყველას, ღირსეულად იდგეთ ქვეყნის სამსახურში და თქვენი წვლილი შეიტანოთ საქართველოს მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების პროცესში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას დღევანდელ დღეს! გისურვებთ წარმატებებს!“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შეირაღებული ძალების იუბილე ჯანსულ კახიძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში აღინიშნა. (რეპორტიორი)

## „ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ შეწყდეს ჩვენი საზოგადოების ყველაზე პატივსაცემი პირის კათოლიკოს-პატრიარქის ნერვიულობა“



საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანისთვის გაუგებარია, რატომ იწვევს ანტიდისკრიმინაციული კანონი აღშფოთებას საერო თუ სასულიერო პირებს შორის.

მინისტრი მოუწოდებს ყველას, არ გამოიყენონ პატრიარქის სახელი ამ კანონპროექტთან დაკავშირებით.

„არაფერი არ არის ისეთი, რამაც შეიძლება ერსა თუ ბერში ვინმე შეაშფოთოს. ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ეს არის ჩვენი მთავრობის პოზიცია. ამ კანონპროექტში არაფერი მოასწავებს იმაზე, რომ როდესმე საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება იქნება ნებადართული ან ერთსქესიან წყვილებს ბავშვის აყვანა შეეძლებათ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ შეწყდეს ჩვენი საზოგადოების ყველაზე პატივსაცემი პირის კათოლიკოს-პატრიარქის ნერვიულობა, მისი სახელის მოხსენება იქ, სადაც სულ სხვა ტიპის საკითხები იხილება. დღეს ეკლესია და სახელმწიფო ქვეყნისთვის სასიცოცხლო საკითხებში ერთსულოვანნი არიან“, – აცხადებს თეა წულუკიანი. (რეპორტიორი)

## ბოროტმოქმედებმა ქართული, სომხური და ებრაული საფლავები დაარბიეს



სასაფლაოს ადმინისტრაციაში აცხადებენ, დარბეული 16 საფლავიდან 13 ქართულ-სომხურია, სამი კი ებრაული.

„სასაფლაოს დაცვა არ ჰყავს. ჩვენ დილიდან საღამოს 17:00 საათამდე ვმუშაობთ. სასაფლაოს შემოვლისას აღმოვაჩინეთ, რომ საფლავები დარბეული იყო. ამის შემდეგ სამართალდამცავებს ვაცნობეთ. ისინი ადგილზე მოსულებიც იყვნენ და ფოტოებიც გადაუღეს დარბეულ საფლავებს. დარბეულია სამი ებრაული და 13 მართლმადიდებლური საფლავი“, – აცხადებენ ადმინისტრაციაში და აღნიშნავენ, რომ რამდენიმე გარდაცვლილის ოჯახის წევრებს მაშინვე აცნობეს მომხდარი ვანდალური ფაქტის შესახებ, თუმცა საკონტაქტო ინფორმაციის უქონლობის გამო, დარბეული 16 საფლავიდან უმეტესობის ოჯახის წევრებმა ამ დრომდე არ იციან მომხდარის შესახებ. ადმინისტრაციამ ინფორმაცია თბილისის მერიის შესაბამის სამსახურსაც მიაწოდა, რადგან სასაფლაო მათ დაქვემდებარებაშია. დარბეულ საფლავებს შორის აღმოჩნდა ქართველი ებრაელი, რეჟისორ იური წიწუაშვილის საფლავიც, რომელიც ე.წ. დამპალოს სასაფლაოს, ებრაული საფლავების ნაწილში მდებარეობს. საფლავს მთლიანად მოგლეჯილი აქვს მარმარილოს ქვა, რომელიც საფლავზეა დაგდებული და დამტვრეული. ანალოგიური მდგომარეობაა კიდევ ორ ებრაულ და 13 სხვა საფლავზე. როგორც იური წიწუაშვილის ოჯახის წევრები აცხადებენ, მათ მომხდარის შესახებ სასაფლაოს ადმინისტრაციამ შეატყობინა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 16-ვე სასაფლაო მხოლოდ დარბეულია და არა გაქურდული, რადგან მარმარილოს მოგლეჯილი ფილები იქვე, სასაფლაოს გარშემო ყრია. შინაგან საქმეთა სამინისტროში ე.წ. დამპალოს სასაფლაოზე საფლავების დარბევის ფაქტს არ ადასტურებენ. (კვირა)

# „ქართული ლუდის კომპანიის“ ახალი ბრენდი — „ოქროს არწივი“ უკვე იყიდება

სს „ქართული ლუდის კომპანიამ“ საგურამოში ახალი ლუდის — „ოქროს არწივისა“ და ახალი ბრენდის პრეტენტაცია მოაწყო. ახალი ბრენდის პრეზენტაციას წინ უძღოდა განსხვავებული სარეკლამო კამპანია, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი მის მიმართ. ლუდის მოყვარულები, და არამხოლოდ, განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ „ოქროს არწივის“ დაგემოვნებას. საგურამოში, „ზედაზნის“ ქარხანაში შეკრებილ სტუმრებს, რომელთა შორის იყვნენ ბიზნესმენები, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, მსახიობები, მომღერლები, პოლიტიკოსები და ლუდის მოყვარულები „ოქროს არწივი“ „ქართული ლუდის კომპანიის“ კომერციული სამსახურის დირექტორმა კახა პაიჭაძემ წარუდგინა. პაიჭაძემ სტუმრებს დეტალურად აუხსნა, როგორ შეიქმნა ბრენდი „ოქროს არწივი“, რომელი მასალისგან მზადდება ის და რა განსაკუთრებული ნიშნით გამოირჩევა.



„ცენტრალური ევროპის ისტორიული რეგიონი – ბოჰემია დღევანდელი ჩეხეთის 2/3-ს შეადგენს. სწორედ ბოჰემიაში იქმნებოდა და ვითარდებოდა ლუდის კულტურა, რამაც ჩეხურ ლუდს მსოფლიო აღიარება მოუტანა. „ოქროს არწივი“ ბოჰემიური ლაგერის ტიპის ლუდია. 3 სახეობის უმაღლესი ხარისხის ალაოს უნიკალური ნაზავი უზრუნველყოფს მის ღია ოქროს ფერს. არომატული ბოჰემიური სვია კი საოცრად სასიამოვნოს ხდის მის დალევას. ეს იქნება ადგილობრივი პრემიუმ კლასის ლუდი. ალაო და შვრია, რომლითაც „ოქროს არწივი“ მზადდება, ძალიან მაღალი ხარისხის ნედლეულია. ეს ბრენდი არის ხალხისთვის, ვინც ლუდისგან უფრო მეტს ითხოვს და მას მხოლოდ გასაგრილებლად არ სვამს. რაც შეეხება პირდაპირ კონკურენტებს, ამ კლასის ლუდებში საფასო კატეგორიის (ერთი ბოთლის 1,80-მდე) მიხედვით ნიშა თავისუფალია. ასევე, გვსურს ვუთხრათ მომხმარებლებს, ყურადღებით დააკვირდნენ ნებისმიერ რეკლამასა და ინფორმაციას. ნუ გააკეთებენ ნაადრევ დასკვნებს, კონკრეტული რამ ნამდვილი ოქროა თუ მხოლოდ ბრწყინავს, – განაცხადა კახა პაიჭაძემ.

იმის მიუხედავად, რომ „ქართული ლუდის კომპანიასა“ და მის დამფუძნებელ ფირმებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ გასულ წელს, ცეზარ ჩოჩელის მიერ დაფუძნებულმა ფირმამ მაინც მოახერხა კიდევ ერთი ბრენდი შეეთავაზებინა მომხმარებლებისთვის.

ბიზნესმენი ცეზარ ჩოჩელი ამბობს, რომ მათთვის მთავარია მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის პროდუქციის შეთავაზება, „ოქროს არწივი“ კი ყველანაირ სტანდარტს აკმაყოფილებს. „ნებისმიერ სეგმენტზე, რომელზეც ჩვენ ვიმყოფებით, მომხარებელს აქვს თავისი გემოვნური მოთხოვნილებები. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვქონდა სამი ბრენდი, „ოქროს არწივი“ არის მეოთხე ბრენდი. იდეა წამოვიდა იქიდან, რომ ჩვენი სიმბოლო არის არწივი, შესაბამისად, არწივთან დაკავშირებით შევქმენით ახალი ბრენდი. ამ პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენება მაღალხარისხიანი ნედლეული, ერთ-ერთი ძვირადღირებული ევროპაში. ეს ყველაფერი კი მზადდება ყველაზე თანამედროვე დანადგარებით. აქედან გამომდინარე, იქნება მაღალი ხარისხი და მოთხოვნილება. პრობლემები ისევ რჩება ჩვენს კომპანიებს, მაგრამ თუ გახსოვთ, ყოველთვის ვამბობდი, რომ, თუკი პრობლემების გამო ხელებს ჩამოვუშვებთ და არაფერს გავაკეთებთ, ამით პრობლემებს ვერ მოვაგვარებთ. პირიქით, მეტ გაჭირვებას მეტი ძალა და შემართება მოაქვს. სწორედ ამ შემართებით გავაკეთეთ ახალი ბრენდი და პირობას გაძლევთ, ძალიან მალე მოგიწვევთ ახალი ქარხნების პრეზენტაციაზეც“, – ამბობს ბიზნესმენი.

ახალი ბრენდის „ოქროს არწივის“ სახე მომღერალი, ანსამბლ ივერიას წევრი თემურ წიკლაურია, რომელმაც „ოქროს არწივის“ პრეზენტაციაზე მისული სტუმრებისთვის რამდენიმე სასიმღერო ნომერი შეასრულა. „საქართველოს არწივი“ „ოქროს არწივზე“ ამბობს, რომ: „არაჩვეულებრივი ლუდი აღმოჩნდა „ოქროს არწივი“. მე დიდი დეგუსტატორი არ გახლავართ ლუდისა, მაგრამ ვინც იცის ლუდის დეგუსტაცია, ისინი ამბობენ, რომ ასეთი ლუდი ბაზარზე ნამდვილად არ არის. რაც შეეხება ჩემს არწივობასა და ამ ბრენდის ურთიერთობას. მე 35 წელია, არწივად ვმუშაობ. „ქართული ლუდის კომპანიის“ ლოგოც არწივია, ამიტომ თავისთავად შედგა ჩვენი ურთიერთობა. უაღრესად კმაყოფილი ვარ ამ ურთიერთობით. ზოგადად, ძალიან კმაყოფილი ვარ ნებისმიერი სიახლით. როგორ არ უნდა გიხაროდეს კაცს ახალი ბრენდის შემოსვლა, ახალი დასაქმებული ადამიანების ნახვა, წინსვლა. თან ძალიან იაფია ეს ლუდი. ჩხუბიც კი დავიწყე, არწივი და ასეთი იაფი-მეთქი? ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, არაჩვეულებრივი ლუდია და ტყუილად ნამდვილად არ ვაქებ, შეგიძლიათ ჩემზე კომპეტენტურ ადამიანებსაც ჰკითხოთ“, – ამბობს მომღერალი.




ახალი ბრენდი „ქართული ლუდის კომპანიამ“ სარეალიზაციო ქსელში ჩაუშვა და მისი შეძენა უკვე შესაძლებელია. პრეზენტაციაზე მისულ სტუმრებს კომპანია სხვადასხვა სახის დელიკატესით გაუმასპინძლდა. შებოლილი ორგანული, ზუთხის მწვადი, ბუჟენინა, ხორცის სტეიკი, ყველის ასორტი, ლუდში შემწვარი ღორის კანჭი, საქონლის ენა, სათალი, შებოლილი ორაგული, ხინკალი და მწვადი, ამ ყველაფრის დაგემოვნების საშუალება საგურამოში ჩასულ სტუმრებს, რა თქმა უნდა, ახალ ლუდთან – „ოქროს არწივთან“ ერთად ჰქონდათ. ახალი ბრენდის შექმნით კომპანიამ დამატებით 150 ადამიანი დაასაქმა. კიდევ ერთი სიახლე, რაც ცეზარ ჩოჩელის ბიზნესს უკავშირდება, რკინა-ბეტონის შპალის ქარხანაზე ყადაღის მოხსნაა. როგორც შპალის ქარხნის დირექტორი ილია შიხაშვილი ამბობს, რამდენიმე დღის წინ მათ საწარმოს მოეხსნა ყადაღა, რომელიც არის „ქართული ლუდის კომპანიის“ „ზედაზნის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და 70%-იანი წილის მფლობელი. „უკვე მოგვეცა საშუალება წინსვლისა და განვითარებისთვის. ასევე, ახალი პროდუქციების წარმოებისთვის. უკვე შევუდექით ამ საქმიანობას, ჩავუშვით ისეთი უმნიშვნელოვანესი პროექტი, რაც საქართველოს რკინიგზისა და ინფრასტრუქტურისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის რკინა-ბეტონის ბრუსების წარმოება და დაბალრადიუსიან მრუდებში სპეციფიკური შპალების წარმოება, რასაც მთელ ამიერკავკასიაში ანალოგი არ აქვს. გარდა ამ პროექტისა, კიდევ რამდენიმე პროექტი გვაქვს მომზადებული, რომელსაც განვახორციელებთ. ინფრასტრუქტურული პროექტები წარმოების სტადიაშია და თითქმის მთავრდება. უახლოეს მომავალში ხაზებს ჩამოვიტანთ და წარმოებას დავიწყებთ“, – ამბობს შიხაშვილი.





# გიორგი შენგელაია: „ბატონო ირაკლი, დამელაპარაკეთ... თქვენს გარშემო საბავშვო ბაღია“

ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა ჩვენმა მთავრობამ, დაადგინა, რომ სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმში“ 2012 წლის შემდეგ შექმნილმა ბორდმა არ გაამართლა და ამიტომ შესამუშავებელია სრულიად ახალი პრინციპი, ანუ ჩამოსაყალიბებელია ახალი ტიპის ბორდი, სადაც ისეთი „ავტორიტეტები“ შევლენ, როცა გაიგებთ, პირს თუ არ დააღებთ, ძალიან გაგიკვირდებათ. როგორც „ქართული ფილმის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, კინორეჟისორი გიორგი შენგელაია ამბობს, ეს არის სრულიად მიუღებელი გადაწყვეტილება, რადგან ვისაც დღეს ქართულ კინოს აბარებენ, ისინი ამ სფეროში ვერაფერს გააკეთებენ, აზრზე არ არიან:

– დღეს კინოსტუდიის საქმეები აბარია ეკონომიკის სამინისტროს, რომელსაც შესაბამისი კომპეტენცია არ გააჩნია. ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში. დღეს ჩვენ სუნთქვა აღარ შეგვიძლია, ფილმებს ვერ ვაკეთებთ და შესაბამისად, არც ფული შემოგვდის. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს მთავრობამ უნდა გაიაზროს, რას ნიშნავს ქართული კინო. ეს არის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი უცხოეთში. მე ეს ყველაფერი ავუხსენი ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს. მან ძალიან კარგად კი მიგვიღო მე და ჩემი კოლეგები, მაგრამ მას შემდეგ ისევ ეკონომიკის სამინისტროს აზრს იზიარებს და ეყრდნობა.

**— ბატონო გიორგი, ჩემი აზრით, ყველა რეჟისორმა თვითონ უნდა მოიძიოს თანხები და გადაიღოს კინო, მაგრამ ვინაიდან ჩვენში ქარაქუცა პოლიტიკოსებს ბიუჯეტიდან მილიონები ეძლევათ არაფერში, სჯობს, ეს ფული ნორმალურ ფილმებში დავხარჯოთ. გარდა ამისა, არსებობს უცხოური პრაქტიკა — ესპანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში სახელმწიფო კინოს ეხმარება.**

– სრულ სიმართლეს ამბობ... ამ დღეებში გაჩნდა კიდევ ერთი ნონსენსი: შენ იცი, რომ კინოსტუდიაში დაგვინიშნეს ე.წ. ბორდი, ანუ კიდევ ერთი პარლამენტი გაგვიმართეს, მაგრამ ეს ბორდი ჩაიჭრა, ვერაფერი ვერ გააკეთეს. ეს იდეა ეკუთვნოდა ეკონომიკის მინისტრს, დავით კვირიკაშვილს.

**— როგორც ვიცი, თქვენც იყავით ამ ბორდში, მაგრამ წამოხვედით.**

– მე სპეციალურად გავაკეთე დემარში. ახლაც დემარშს ვაკეთებ... მე მინდა, ახლა საგანგებოდ მივმართო ბატონ პრემიერ-მინისტრს: ბატონო ირაკლი, დამელაპარაკეთ, თქვენი ხელქვეითები ისევ აგრძელებენ ბორდის იდეას და სჩადიან ათასნაირ სისულელეს. პირდაპირ გეუბნებით, თქვენს გარშემო საბავშვო ბაღია. ახლა ამბობენ, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბორდს კულტურის სამინისტროში შექმნილი სპეციალური კომისია აირჩევს, სადაც 5 მინისტრი შევაო. ვინ მინისტრები, უნდა გამაგიჟოთ?!

**— ანუ კინოსტუდიას უხელმძღვანელებენ მინისტრები?**

– დიახ, მინისტრები... კარგი, კულტურის მინისტრზე არაფერს ვამბობ, მაგრამ დანარჩენმა მინისტრებმა რა იციან, რა უნდა გააკეთონ ქართულ კინოში?

**— იცით, რომელ მინისტრებზეა ლაპარაკი?**

– ჯერ არ ამბობენ, მარტო ის გადაწყვიტეს, რომ 5 მინისტრი უნდა შეიყვანონ. კი, ბატონო, არაჩვეულებრივი კაცია ჯანდაცვის მინისტრი სერგეენკო, მაგრამ მაგან რა იცის კინოსი? მე ბოლო ერთი თვეა, ვურეკავ ირაკლი ღარიბაშვილს მისი სამდივნოს საშუალებით და ვერ ველირსე პასუხს. თუ ასეთი მმართველობა მისთვის მისაღებია, მაშინ დამელაპარაკოს, ან კიდევ როცა მთავრობის სხდომაზე ამ საკითხს გაიტანენ, დამიძახონ. როგორც გავიგე, ამ დღეებში აპირებენ გატანას.

– იქნებ ირაკლი ღარიბაშვილამდე არ მიაქვთ ამბავი, რომ შეხვედრა გინდათ?

– არ ვიცი, მე მის მდივნებთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ პასუხი არ არის. როცა კინოსტუდიის საკითხი გააქვთ მთავრობის სხდომაზე, მეც ხომ უნდა დამიძახონ, რეჟისორებისა და მსახიობების აზრი არ აინტერესებთ? მე ეს ყველაფერი ძალიან მაშფოთებს, მაგრამ საშველი არ ჩანს.

როგორც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი, თეონა ჯაყელი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, მათ იგივე ინფორმაცია აქვთ ამ თემასთან დაკავშირებით, რაც ჩვენ. სამინისტროშიც არსებობს ინფორმაცია, რომ სპეციალური კომისია უნდა შეიქმნას, რომელიც შემდეგ დაასახელებს ბორდში შესაყვანი მინისტრების ვინაობას. თეონა ჯაყელის თქმით, ჯერ კომისია არ შექმნილა.

ვნახოთ, როგორც გიორგი შენგელაია ამბობს, ამ საკითხს უახლოეს დღეებში გაიტანენ მთავრობის სხდომაზე და იმედია, პრემიერი კინომოღვაწეთა აზრსაც გაითვალისწინებს.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თუ ვინმემ იცით, რომ გაიაფდა მედიკამენტები, გვითხარით, ან რომელი მონოპოლია დაანგრიეთ“



დეპუტატ გიგი წერეთლის განცხადებით, ჯანდაცვის პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ნაკლი მედიკამენტებია, რადგან წამლებზე ფასი ხელმისაწვდომი არ არის, გარდა ამისა, მედიკამენტების შეძენას სახელმწიფო პროგრამა არ ითვალისწინებს.

„ეს სერიოზული ტვირთია ჩვენი მოსახლეობისთვის და ვერ ვხედავთ რაიმე ნაბიჯებს ამ კუთხით. თუ ვინმემ იცით, რომ გაიაფდა მედიკამენტები, გვითხარით, ან რომელი მონოპოლია დაანგრიეთ, რომელზეც იყო საუბარი მთელ წინასაარჩევნო პერიოდში?“ – აღნიშნა დეპუტატმა.

მისივე თქმით, მედიკამენტები კვლავ ძვირია და კიდევ უფრო ძვირდება, მოსახლეობას კი კვლავ უჭირს. (ინტერპრესნიუსი)

## „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ მოწოდებას არჩევნებში მონაწილე პარტიები პასუხობენ



„არასაპარლამენტო ოპოზიცია“ არჩევნებში მონაწილე პარტიებს გაერთიანებას სთავაზობს, რადგან დარწმუნებულია, რომ არჩევნებში არასაპარლამენტო პარტიებს წარმატების რეალური შანსი აქვთ.

„ამას ყველა ჩატარებული კვლევა ადასტურებს. მეორე მხრივ, ჯანსაღი ოპოზიციური ძალების დაქსაქსულობის პირობებში, გარდაუვალია ჩვენს გაერთიანებებს შორის ხმების გაყოფა, რაც წყალს ასხამს მხოლოდ ხელისუფლებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე. 3 მაისი არის კანონით გათვალისწინებული ბოლო ვადა ერთიანი არასაპარლამენტო ოპოზიციური ბლოკის შექმნისთვის. „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ ვაცხადებთ, რომ მზად ვართ, გადავდოთ გვერდზე ყოველგვარი უთანხმოება და 3 მაისამდე დარჩენილი დრო გამოვიყენოთ არასაპარლამენტო ოპოზიციური ბლოკის გაფართოებისთვის“, – ნათქვამია „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ განცხადებაში.

„თავისუფალი საქართველოსა“ და „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერები – კახა კუკავა და ფიქრია ჩიხრაძე, არასაპარლამენტო პარტიებს მოუწოდებენ, ნუ გაუშვებენ ხელიდან გამარჯვებას.

„არასაპარლამენტო ოპოზიციის“ მოწოდებას „ლეიბორისტული პარტია“ არ იზიარებს. პარტიის თავმჯდომარის, შალვა ნათელაშვილის განცხადებით, „ლეიბორისტული პარტია“, რომელიც 20 წელია, საარჩევნო პროცესებში დამოუკიდებლად მონაწილეობს, ამ გზიდან გადახვევას არ აპირებს.

„ჩვენი პოზიცია საყოველთაოდ ცნობილია. საარჩევნო პროცესებში 20 წელია, დამოუკიდებლად ვმონაწილეობთ. ამის გამო ძალიან ბევრი განსაცდელი და ბევრი უღელტეხილიც გადავიარეთ, მაგრამ არაფერი არ შეცვლილა. ჩვენ არჩევნების შემდგომ საკრებულოში, პარლამენტსა თუ მთავრობაში აუცილებლად გავაკეთებთ კოალიციებს იქ უკვე ბარიერგადალახულ ოპოზიციურ ძალებთან“, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

კახა კუკავას განცხადებას პოპულისტურს უწოდებს პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი სერგო ჯავახიძე.

„ოპოზიციის გაერთიანება ყოველთვის მისაღები იქნება, მაგრამ შემოთავაზების ფორმა არ მომწონს. ტელევიზიითა და სხვა მედიასაშუალებებით ამის გაცხადება, როდესაც პარტიებს შორის კომუნიკაციის პრობლემა არ არსებობს, მგონი, გასაკვირია. ასეთი თემები მოლაპარაკებებსა და კონსულტაციებს საჭიროებს. ერთ ბლოკშიც რომ ვიყოთ და ერთმა პარტიამ ჩემთან შეუთანხმებლად განცხადება გააკეთოს, იმასთან მე საუბარს არ გავაგრძელებ. ეს არ არის გაერთიანების მცდელობა, რეალური საქმეები ასე არ კეთდება, ამისთვის სხვა მექანიზმები არსებობს. თუ კუკავა შემოთავაზებას არა ტელევიზიით, არამედ ჩვენს პარტიასთან კომუნიკაციით დააფიქსირებდა, შეიძლება მათთან გაერთიანებაზე გვეფიქრა. ახლა ამას არ ვაპირებთ“, – განაცხადა სერგო ჯავახიძემ. (კვირა)

## ნუკრი ქანთარია: „არ გისმენენ ბატონო ხაჩიძე, არც ფარულად და არც ღიად“



საპარლამენტო უმცირესობის წევრმა, გოგა ხაჩიძემ, პლენარულ სხდომაზე უკანონო მოსმენებზე ისაუბრა და ამ თემაზე მის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტზე ბესელიას შეფასებას გამოეხმაურა.

„ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ კომპლიმენტი მითხრა და მირჩია, თურმე ჩემი ადგილი თეატრალურ სცენაზეა და შეცდომით ვარ პარლამენტში მოხვედრილი. ბატონებო, იდეაში რა შეცდომაზე ვსაუბრობთ მთელი კოალიცია, შეცდომაა. გეუბნებით კონკრეტულად, რომ გვისმენენ. თუმცა, რა თქმა გინდათ, თქვენც და ჩვენც ძალიან კარგად ვიცით, ზოგმა გულის სიღრმეში, რომ გვისმენენ და ამაზე ნუ დახუჭავთ თვალს“, – მიმართა უმრავლესობას ოპოზიციონერმა დეპუტატმა.

მან მოუწოდა მმართველ გუნდს, ნუ იტყვიან, რომ ეს მათ არ ეხებათ, რადგან ეს ყველას ეხება.

„ყველას გვისმენენ, უბრალოდ ფაქტი დაგიდეთ წინ, უბრალოდ სირცხვილია პარლამენტისგან საკუთარი დეპუტატებისადმი ასეთი დამოკიდებულება“, – აღნიშნა გოგა ხაჩიძემ.

მისი ინფორმაციით, სტატისტიკა მოწმობს, უმრავლესობის დეპუტატები უფრო ხშირად იყენებენ viber-ს, ვიდრე უმცირესობის დეპუტატები.

უმცირესობის წევრს სხდომაზევე უპასუხა უმრავლესობის წარმომადგენელმა ნუკრი ქანთარიამ.

„მინდა ბატონ ხაჩიძეს ვუთხრა, ვის რაში აინტერესებს მისი მოსმენა? საოცარია პირდაპირ მისი გამალებული სურვილი, რომ მისმენენ, მისმენენო. არ გისმენენ, ბატონო ხაჩიძე, სამწუხაროდ, არავინ გისმენთ თქვენ, არც ფარულად და არც ღიად. საზოგადოება არ გისმენთ და ახლა ილაპარაკეთ რამდენიც გინდათ“, – მიმართა ნუკრი ქანთარიამ ოპოზიციონერ კოლეგას. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შიხიაშვილი „ოცნების“ საარჩევნო სიაში რომ არ მოხვდა გული არ წყდება?!



საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი მუსხელიშვილის განცხადებით, თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატებთან დაკავშირებით მოლაპარაკებები უკვე დასრულებულია.

„კანდიდატებთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დამთავრდა. თბილისის 25 მაჟორიტარობის კანდიდატი უკვე შეირჩა. შტაბში ოფიციალური პრეზენტაცია უახლოეს 2-3 დღეში იქნება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება, რომ დავადასტუროთ ჩვენი პოზიცია“, – განაცხადა მუსხელიშვილმა.

მისივე თქმით, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი არ არის საკრებულოს საარჩევნო სიაში, თუმცა ის გუნდის წევრად რჩება.

ირაკლი შიხიაშვილის განცხადებით, თუ თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნების“ სიაში არ მოხვდება, გული არ დასწყდება.

„ირაკლი შიხიაშვილის სურვილი იყო, საკრებულოში შეეცვალა სიტუაცია და ერთპიროვნული მმართველობა დაემთავრებინა. ასევე, საკრებულოს დაეწყო პროექტების განხორციელება და ნაწილი უკვე განხორციელებულია. მე საზოგადოების წინაშე საქმე გავაკეთე. მადლობას ვუხდი ჩემი გუნდის ყველა წევრს. მე პირნათელი ვარ საზოგადოებისა და ჩემი გუნდის წინაშე“, – აღნიშნა შიხიაშვილმა. მისივე თქმით, საკრებულო ვადის ამოწურვამდე სრული დატვირთვით იმუშავებს. (ინტერპრესნიუსი)



# „ოცნება“ თუ დაარქვი, მამაცხონებულო, ოცნება უნდა წამიწყმიდო“?

**„თუ ეს პროექტი მაინც მიიღეს, უნდა გამოვიდეთ გარეთ და ეს პარლამენტი გამოვათრიოთ სათითაოდ და კუდით ქვა უნდა ვასროლინოთ აქედან, აი, ეს უნდა ვქნათ!“**

ისეთი ვნებათაღელვა, რაც ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს მოჰყვა, დიდი ხანია არ მინახავს. არც უმრავლესობისა და უმცირესობის ისეთი შეხმატკბილება და გულში ჩაკვრა არ მინახავს, რაც ამ კანონის განხილვისას მოხდა.

„ალიამ“ ორი დღის წინ დააანონსა ამ კანონპროექტის საწინააღმდეგოდ რუსთაველზე სასულიერო პირების მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია. მართლაც, 30 აპრილს პარლამენტის წინ 200-მდე ადამიანი შეიკრიბა, ძირითადად სასულიერო პირები და მათი მრევლი. მათ თან ჰქონდათ პლაკატები „ვთხოვთ ხელისუფლებას, არ დაუშვას გარყვნილების ქადაგება“, „მამათმავლობის დაკანონება და პროპაგანდა ერის გენოციდია“.

**სასულიერო პირებმა პარაკლისი გადაიხადეს.**

**„ალიას“ აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ყოვლადწმინდა სამების ეკლესიის დიაკონი, მამა ელიზბარ დეკანოიძე ესაუბრა:**

– ჩვენი ანონსი თქვენი გაზეთის საშუალებით ძალიან დაგვეხმარა ამ შეკრების ჩატარებაში და ამისთვის მადლობას მოგახსენებთ. ხალხი შეიკრიბა, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს იყო ძალიან მცირე რაოდენობა საზოგადოებისა. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს აქცია პირდაპირ ქაშუეთის ეკლესიის წინ არ არის? ჰოდა, ერთი სასულიერო პირიც კი ქაშუეთის ეკლესიიდან არ გამოსულა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იქ ვინმე მხარს უჭერს ამ კანონპროექტს, მაგრამ რატომღაც, ჩვენი ეკლესია თვლის, რომ პატრიარქმა უნდა მოუწოდოს ხალხს ბუნტისკენ და გარეთ გამოსვლისკენ. ამ დროს გამორიცხულია, რომ იმას შევეგუოთ, რაც ამ ქვეყანაში ხდება! აქციაზე იყო მხოლოდ თბილისის რამდენიმე ეკლესიის ის წარმომადგენელი, ვინც პრესის საშუალებით მწვავე კრიტიკით გამოდიოდნენ მიმდინარე პროცესების მიმართ. მე დაგისვამთ დღეს ერთ კითხვას და მიპასუხეთ: ვინმეს, რომელიმე ქვეყანაში უცხოელს, თუნდაც ქართველს, რომ იქაური ბავშვი გაეუპატიურებინა, წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა იმ ქვეყანაში?

— **ამერიკის ელჩის მრჩევლის, სამხედრო ატაშეს მოთხოვნით გაუშვიათო, მაგრამ შსს არ ადასტურებს, დაკავებულიაო.**

– მერე ეგ ნორლანდია ჩვენი დედა? ძუძუს ხომ არ მოგვაწოვებს კიდევ? ჯერ გასარკვევია, მართლა დაკავებულია თუ არა, გასარკვევია ეგ საქმე. რას უსმენ ამერიკის ელჩს, არაფერს კარგს ეგ ქვეყანა არ გირჩევს, თქვენ წარმოიდგინეთ, მეზობელმა ქალმა რომ ისაუბრა, მაგ ერაყელებს რომ ვუთითებდით, მაგას ნუ აკეთებთო, ტელეფონს მომიტანდა ცხვირთან, პატრული, პატრულიო. თუ მასეა, დამსაჯოს პატრულმაო. ე.ი. (ყვირის) მოვა ეს ჩვენი პატრული და დასჯის ქართველს, რომ ერაყელს უნამუსობაში ხელი შეუშალა, ან ნებისმიერი ეროვნების სხვა ადამიანს? არა, რაა, ეს ქვეყანა დასაღუპადაა განწირული! ეს აღარ არის ქვეყანა! დღეს საქართველოს მასშტაბით იყო გამოცხადებული აქცია და თბილისში ერთი ეკლესია არ უნდა დარჩენილიყო, რომ რუსთაველზე არ გამოსულიყო, ერთი სასულიერო პირიც არ უნდა დაკლებოდა, გარდა იმათი, ვინც რიტუალს ასრულებდა, აბსოლუტურად ყველა იქ უნდა მდგარიყო და გამოეხატა პროტესტი ყველაფერი ამის მიმართ! არ ვგულისხმობ იმათ, ვინც მიდრეკილია მსგავსი ქმედებისკენ.

— **დღეს ქუთაისშიც შეიკრიბნენ სასულიერო პირები და როგორია თქვენი ტაქტიკა, შეთანხმებული ხართ საერთო მოქმედებებზე? რას ამბობს საპატრიარქო?**

– ქუთაისში შეიკრიბნენ, კი, ზუსტად 12 საათზე იქაც გამოვიდნენ მამაოები და პარაკლისი გადაიხადეს მათაც. მაგრამ იქაც 10-15 სასულიერო პირი იდგა, უმეტესობა - ბერები. მეუფე – არც ერთი! საპატრიარქოში რას იტყვიან ამაზე და ხაფი ხმით ყვირის პარლამენტიდან, იმ ქალის გვარი არ ვიცი, ჩვენ საპროტესტო აქციებს გავმართავთ თუ შეწყვეტს პარლამენტი ამ საკითხის განხილვასო. ისე გაკადნიერდა დავით ზურაბიშვილი, სჯულის კანონის არცოდნაც კი აკადრა საქართველოს საპატრიარქოს და თვითონ გამოვიდა სჯულის საუკეთესო მცოდნედ და თურმე ჩვენ არაფერი გვცოდნია! უფრო მეტი მოგვცემს ხმას ამ კანონის მერეო! იმიტომ, რომ საქართველოში, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მისი გათვლით, მამათმავალი და ლესბოსელი უფრო მეტია, ვიდრე კაცი! ესაა მაგათი „რასჩოტი“! როგორ მშურს სომხებისა, რა! ასეთი ფაქტი რომ იქ მომხდარიყო, მთელი ერევანი გამოვიდოდა და ერთად იქნებოდა და არც



**„არა, რაა, ეს ქვეყანა დასაღუპადაა განწირული! ეს აღარ არის ქვეყანა! დღეს საქართველოს მასშტაბით იყო გამოცხადებული აქცია და თბილისში ერთი ეკლესია არ უნდა დარჩენილიყო, რომ რუსთაველზე არ გამოსულიყო, ერთი სასულიერო პირიც არ უნდა დაკლებოდა, გარდა იმათი, ვინც რიტუალს ასრულებდა, აბსოლუტურად ყველა იქ უნდა მდგარიყო და გამოეხატა პროტესტი ყველაფერი ამის მიმართ! არ ვგულისხმობ იმათ, ვინც მიდრეკილია მსგავსი ქმედებისკენ“**

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ხელისუფლებამ „მოახერხა“ რეფორმების, თავის თავისა და ეკლესიის დისკრედიტაცია“



საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს „ფეისბუკზე“ ეხმაურება.

„საქართველოში არ ვიმყოფებოდი და ანტიდისკრიმინაციული კანონის გარშემო ატეხილი „ქარიშხალი“ გამომრჩა. დღეს ვნახე და წავიკითხე ყველაფერი.

კონსტიტუციური ნორმების „კონფირმაცია“ ახალი კანონის მეშვეობით სამართლებრივი იდიოტიზმია. ხელისუფლებას ეს ექზერსისი დასჭირდა თავისი დიდი მცდელობით გამოწვეული ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისიდან ყურადღების სხვა საგანზე გადატანისთვის. წელიწად-ნახევარში „მოახერხეს“ საქართველოს რეფორმების, თავის თავისა და ქართული ეკლესიის დისკრედიტაცია. ცოტა დარჩათ ქვეყნის სრულ დისკრედიტაციამდე. მოვიდნენ ზიზღის იდეოლოგიით. შედეგად მიიღეს სახელმწიფოსა და საზოგადოების დეზორგანიზაცია“, – წერს ვაშაძე. (ნიუპოსტი)

## „რუსთავი 2“ მაყურებელს ახალ შოუს უმზადებს



„რუსთავი 2“-ის ახალ სატელევიზიო შოუში ამჯერად მხოლოდ პროფესიონალ მოცეკვავეებს ვიხილავთ. ტელეკომპანია თანამედროვე ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებლებსა და ქორეოგრაფიულ ჯგუფებს კასტინგზე იწვევს. მოცეკვავეების შესარჩევი კონკურსის გამარჯვებულები ტელეკომპანიის სხვადასხვა პროექტებში დაკავდებიან.

„რამდენიმე პროექტისთვის ერთდროულად ვეძებთ კონკურსანტებს. ვისაც შევარჩევთ, პრაქტიკულად თანამშრომელია. მოცეკვავეები „X ფაქტორისთვისაც“ გვჭირდება. საცეკვაო პროექტი 2 წელია, რაც მოფიქრებული გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით იმის კეთებას ვამჯობინებთ, რასაც ვაკეთებთ. დროის ფაქტორიც არის, ყველაფერს ერთად ვერ მოვასწრებთ. ახალ პროექტებს უფრო შემოდგომისთვის ვგეგმავთ... კარგია, რომ ახალგაზრდებისთვის ბევრი პროექტი და მოვლენა ხდება ჩვენს ქვეყანაში. რამდენიმე წლის წინათ საერთოდ არაფერი იყო“. – განაცხადა პროდიუსერმა დემნა ჯაფარიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ირაკლი ღარიბაშვილი NDI-ს წარმომადგენლებს შეხვდა



როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა NDI-ს დელეგაციასთან შეხვედრისას განაცხადა, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა ყველა პარტიას სრულფასოვანი საარჩევნო კამპანიის საშუალება მიეცეს.

შეხვედრის ძირითადი თემები იყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სამზადისი, პოლიტიკური სუბიექტების აქტივობა და საარჩევნო გარემო.

პრემიერმა დელეგაციას ინფორმაცია საარჩევნო კამპანიაში ჩართულ პირთა მიმართ სამართლებრივი პროცედურების განხორციელებაზე გამოცხადებულ მორატორიუმთან დაკავშირებითაც მიაწოდა და განმარტა, რომ საქართველოს ხელისუფლების მიზანია დემოკრატიული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება.

ხაზგასმით აღინიშნა ამ მიმართულებით უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის მნიშვნელობაც.

NDI-ს დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი პერ ეკლუნდი, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის ყოფილი წევრი და NDI-ს ბორდის წევრი სემ გეჯდენსონი, არჩევნებისა და დემოკრატიის საკითხებში საერთაშორისო ექსპერტი რობერტ ადამსი, NDI-ს ევრაზიის რეგიონალური პროგრამების დირექტორი ლორა ჯუიტი.

პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ასევე დაესწრნენ NDI-ს საქართველოს ოფისის დირექტორი ლუის ნავარო, NDI-ს საქართველოს ოფისის საპარლამენტო პროგრამის ხელმძღვანელი ნინო ვარდოსანიძე და საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე. (ინტერპრესნიუსი)

*მეშვიდე გვერდიდან*

ერთი მათგანი ხმას არ მისცემდა. ამის გამო, მართლა არ უნდა მისცენ



შეიძლება, მართლმადიდებლურ ქვეყანაში ჩვენი დაჩაგვრის ხარჯზე სხვებმა იპარპაშონ?

**— ბურჯანაძის პარტიის განცხადება გავრცელდა, სადაც გმობენ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას...**

– კი, მართლმადიდებლობაო ისლამურ ფუნდამენტალიზმზე უფრო საშიში რელიგიააო და ამნაირ ევროპაში უნდათ ამათ ჩვენი შეყვანა?

**— დედაოები რატომ არ გამოდიან საპროტესტოდ? „ოცნების“ აქციებზე დადიოდნენ.**

– და მაგას არ ვამბობ? ყველა უნდა

**„გაკადნიერდა დავით ზურაბიშვილი, სჯულის კანონის არცოდნაც კი აკადრა საქართველოს საპატრიარქოს და თვითონ გამოვიდა სჯულის საუკეთესო მცოდნედ და თურმე ჩვენ არაფერი გვცოდნია! უფრო მეტი მოგვცემს ხმას ამ კანონის მერეო! იმიტომ, რომ საქართველოში, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მისი გათვლით, მამათმავალი და ლესბოსელი უფრო მეტია...“!**

ქიფიანიძე ყვებოდა მაგ ამბავს მიტინგზე. ვინც ამ ხალხისთვის შემოტანილ ფულს ხარჯავს, ეგენი აწყობენ მასეთ რამეებს. ამ ქვეყანას ჰყავს გაუკუღმართებული ორიენტაციის პარლამენტი და, ვისაც ეს სიტყვები ეწყინება, გამოვიდეს, თუ ბიჭია, ვაჟკაცურად, დამხვდეს და დამელაპარაკოს.

**— შემთხვევით ვსარგებლობ და დედა პარასკევაზეც უნდა გკითხოთ, რა მოხდა?**

– არავის არასაიდან არ გაუგდია, პატარა სახლი რომ ჰქონდა და, წამოწოლილი რომ ფულებს აკეთებდა, ეგ აეკრძალა, და სწორადაც აუკრძალეს. მონაზვნობა მისთვის არავის ჩამოურთმევია, უბრალოდ, მიუთითეს, აი, კელია და როგორც სხვა მონაზონი ცხოვრობს, ისე იცხოვრეო. ეს ეწყინა, რა თქმა უნდა. დედა პარასკევას სულ პატივს ვცემდი და ვცემ, მაგრამ ამ ბოლო დროს რა დაემართა, ვერ გავიგე, ესაა ეშმაკის ბრძოლა. ამ კეთილშობილ ადამიანსაც კი შეუჩნდა და სისულელეებს აკეთებინებს.

**— დაბოლოს, რა გეგმები გაქვთ,**



**„მივმართე 109 პარლამენტარს, ამდენიდან ერთი მამრი როგორ არ ხართ, ამ კანონზე უარი რომ გეთქვათ-მეთქი. ეს ხალხი ეკლესიაში დადის იმიტომ, რომ ვითომ სული გადაირჩინონ და არ გეტკინათ არაფერი! ასეთი ცხოვრებით სულს ნამდვილად ვერ გადაირჩენთ, სულს დაიღუპავთ“!**



ხმა მაგათ კანდიდატს! პარტიას აღარ ვეძახი, მაგ საზიზღრობას! „ოცნება“ თუ დაარქვი, მამაცხონებულო, ოცნება უნდა წამიწყმიდო? მე მამათმავლებთან ჯდომას ვოცნებობდი ბავშვობიდან, კი! ან მე და ან – სხვა! ამ ხალხის გამიკვირდა, უფრო მეტს რომ ველოდი! ეს ხალხი რამ გაატუტუცა ასე, რამ დაადედლა, რომ პროტესტის გამოხატვის უნარიც არ აქვთ! ერთადერთმა მივმართე 109 პარლამენტარს, ამდენიდან ერთი მამრი როგორ არ ხართ, ამ კანონზე უარი რომ გეთქვათ-მეთქი. ეს ხალხი ეკლესიაში დადის იმიტომ, რომ ვითომ სული გადაირჩინოს და არ გეტკინათ არაფერი! ასეთი ცხოვრებით სულს ნამდვილად ვერ გადაირჩენთ, სულს დაიღუპავთ! ჩვენი სარწმუნოება ამბობს, იყავი ან ცხელ, ან გრილ! ნელთბილობას გვიკრძალავს და, ვინც გამოვა ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ, შეჩვენებული უნდა იყოს საშვილიშვილოდ! დღეს ქართული ჯარის დღეა და ეკლესიას ჰყავდა ყოველთვის თავისი გვარდია, ახლა საჭიროა ომი! მე, მამა ელიზბარი, მუხლდაჩოქილი ვთხოვ მაღალსაც, დაბალსაც, მრევლსაც, მონაზონსაც და ბერსაც, ვისაც, თუ ქვეყანა ჰკიდია, საკუთარი სული ხომ არ ჰკიდია, გამოდით და გამოხატეთ პროტესტი, როგორც ეკუთვნის ამ საზიზღრობას, ამისი პატიება არავისთვის არ შეიძლება და ეს კარგად გავიგოთ. მანანა კობახიძე გამობრძანდა და უნდა დავიცვათ ის ხალხი, ვინც ჩვენგან განსხვავებულები არიანო და ჩვენი, უმრავლესობის დაჩაგვრის ხარჯზე უნდა დაიცვათ ეს ადამიანები, ქალბატონო მანანა?

გამოსულიყო, ბერიც და მონაზონიც და მეუფეც და, თუ ვინმეს მე არ მოვწონვარ, ძალიანაც მიუქარავთ, რადგანაც მე ჩემს ოჯახში ყანის სათოხნად არ დამიძახია მაგათთვის! ვთქვი, მოდით, რომ ქვეყანა დავიცვათთქო. ჩემ გვერდით ომი თუ არ უნდათ, გამოვიდნენ და ცალკე დადგნენ, ოღონდ გამოვიდნენ და ქვეყანა გადაარჩინონ! ეყოთ მართლა და მართლა ფულის ქაფვა!

**„მანანა კობახიძე გამობრძანდა და უნდა დავიცვათ ის ხალხი, ვინც ჩვენგან განსხვავებულები არიანო და ჩვენი, უმრავლესობის დაჩაგვრის ხარჯზე უნდა დაიცვათ ეს ადამიანები, ქალბატონო მანანა? შეიძლება, მართლმადიდებლურ ქვეყანაში ჩვენი დაჩაგვრის ხარჯზე სხვებმა იპარპაშონ“?**

**— კანონპროექტის მიღების შემთხვევაში სასულიერო პირები დეპუტატების ანათემაზე გადაცემით დაიმუქრნენ. ეს მხოლოდ მუქარაა თუ რამე ნაბიჯებიც გადაიდგა ამ მხრივ?**

– რაც შეეხება ანათემას, შევიდა განცხადება, რომ სინოდს ეთხოვება, ანათემას გადაეცეს ყველა ის პირი, ვინც ამაზე ხელს მოაწერს და ვეთანხმები! ერთი მამა ბართლომესაც უნდა ვკითხო, რა, ანტირელიგიურ კანონთან დაკავშირებით 70 პარლამენტარი რომ შეაჩვენა, ამ 109-მ რა დაუშავა? რატომაა გასუსული? ბიძინასთან რომ არის ახლოს, იმიტომ? სიახლოვე იმაში გამოიყენე, რომ სიმართლე უთხარი!

**— ცირკთან ტრანსსექსუალი სცემეს და ის მომენტი ხომ არაა, ხელისუფლებამ რომ გამოიყენოს ეს ფაქტი, აგერ, თუ დასაცავები არ არიან „ელგებეტეებიო“?**

– იმან ძალით მიიყენა ზიანი, დამტკიცდა უკვე, დიმიტრი ლორთ-

**დღეს რა მოილაპარაკეთ, რაზე შეთანხმდით?**

– მართალია, კანონპროექტის განხილვა გადაიდო, მაგრამ გაერთიანებამ, რომელმაც ეს მიტინგი დაგეგმა, ესაა „უფლის სახელით, უფალია ჩვენი სიმართლე“, რეზოლუცია შეიმუშავა, სადაც წერია, რომ ესაა გამაფრთხილებელი რეზოლუცია, რომ შეისმინონ პატრიარქის ვედრება და საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დაწესდეს, საქართველოში პატრიარქი რომ ბრძანებს, ის (დამარცვლით) შესასრულებელია. თუ ეს პროექტი მაინც მიიღეს, უნდა გამოვიდეთ გარეთ და ეს პარლამენტი გამოვათრიოთ სათითაოდ და კუდით ქვა უნდა ვასროლინოთ აქედან. აი, ეს უნდა ვქნათ!

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50



## პრეზიდენტმა სამხედროები დააჯილდოვა



ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი შეიარაღებულ ძალებს დაარსების 23-ე წლისთავს ულოცავს და ქვეყნისა და ხალხის მსახურებისთვის მადლობას უხდის.

„სამშობლო, ღირსება, ერთგულება – ეს ჩვენი შეიარაღებული ძალების დევიზია, რაც ამ დროის განმავლობაში თქვენ არაერთხელ დაამტკიცეთ საქმით. ერთგულად დგახართ რა ხალხისა და ქვეყნის უსაფრთხოების სადარაჯოზე, თქვენ უზრუნველყოფთ სახელმწიფოს შემდგომი წინსვლისა და განვითარებისთვის აუცილებელ და უმთავრეს პირობას – მშვიდობას... მოწიწებით ვიხრი ქედს სამშობლოსთვის თავდადებული ყველა გმირის ხსოვნის წინაშე. კიდევ ერთხელ გილოცავთ და მშვიდობასა და წარმატებას ვუსურვებ თითოეულ თქვენგანს“, – აღნიშნულია მილოცვის წერილში.

საქართველოს პრეზიდენტმა სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, თავდადებისა და მხედრული ვალის პირნათლად მოხდისთვის, სიკვდილის შემდეგ 36 სამხედრო მოსამსახურე ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

შესაბამის განკარგულებას ქვეყნის პირველმა პირმა ხელი უკვე მოაწერა. (ინტერპრესნიუსი)

## ჯანდაცვის სამინისტრო ექიმის უფლებების დაცვის დოკუმენტზე მუშაობას იწყებს



საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი, დავით სერგეენკო, იაშვილის კლინიკაში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ლინჩის წესით გასამართლების მცდელობები ცალსახად მიუღებელია არა მარტო ექიმისადმი, არამედ ნებისმიერი ადამიანის მიმართ. როგორც დავით სერგეენკომ აღნიშნა, ჯანდაცვის სამინისტრო ეცადა, სისტემური პრობლემების აღმოჩენა გაეკეთებინა.

„ჩანაწერი, რაც არსებობს, მოკლე და დაუზუსტებელია, რომ პაციენტი უნდა იყოს ინფორმირებული, მაგრამ არ არის განმარტებული, რა სიხშირით, როგორ, რა მონაცემები უნდა იცოდეს მან – ეს იქნება სრულად გაწერილი და გახდება შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ სავალდებულო შესასრულებელი. ხოლო მეორე მხრივ, ჩვენ დავიწყეთ მუშაობა ექიმის უფლებების დაცვაზე და დოკუმენტზე, რომელსაც ჰქვია ქართველი ექიმის ეთიკის ქარტია, სადაც არა მარტო ვალდებულებები, არამედ დაცვის მექანიზმები უნდა იყოს“, – აღნიშნა სერგეენკომ.

მისივე თქმით, შეცდომა თეორიულად შეიძლება ყველას მოუვიდეს, მაგრამ ექიმის შეცდომა ბევრად უფრო ფატალურია და უფრო მძიმე შედეგებთან შეიძლება მივიდეს, თუმცა ასეთი ტიპის ლინჩის წესით გასამართლების მცდელობები ექიმზე და პაციენტებზე მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითად აისახება. (ინტერპრესნიუსი)

## კრის მეფი: „საქართველომ MAP-ი დაიმსახურა“



როგორც ამერიკელმა სენატორმა კრის მეფიმ, ატლანტიკური საბჭოს მოწვევით ვაშინგტონში გამართულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, საქართველომ MAP-ის მიღება დაიმსახურა.

„რუსეთს უნდა გავუგზავნოთ მკაფიო გზავნილი ტრანსატლანტიკური მხრიდან. იმის გამო, რაც უკრაინაში მოიმოქმედეს, საფასურია გადასახდელი. მივანიჭოთ საქართველოს წევრობის სამოქმედო გეგმა და დავადასტუროთ ღია კარის პოლიტიკა. უკრაინის მოვლენების გათვალისწინებით, საქართველომ დაიმსახურა MAP-ის მიღება. ზაფხულის სამიტზე ამ ნაბიჯის გადადგმა საჭიროა“, – განაცხადა მერფიმ. (ნიუპოსტი)

## საპარლამენტო უმცირესობას ხელისუფლებასთან კითხვები აქვს



საპარლამენტო უმცირესობის განცხადებით, რეზონანსულ საქმეებთან დაკავშირებით პრემიერისა და უმრავლესობის მისამართით კითხვები არსებობს. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, დეპუტატმა სერგო რატიანმა ნუგზარ წიკლაურის ცემისა და შალვა თათუხაშვილის გარდაცვალების ფაქტებზე ისაუბრა და კიდევ ერთხელ დასვა პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი.

„ერთ თვეზე მეტი გავიდა, რაც ნუგზარ წიკლაურზე თავდასხმა მოხდა და ადგილი ჰქონდა მისი გატაცების მცდელობას. მაშინ უმრავლესობის არაერთმა წევრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადეს, რომ საქმის გამოძიება ღირსების საკითხი იყო. თითოეულმა თქვენგანმა იცის, ის რასაც წიკლაური ამბობს, სიმართლეა. ეს არაერთ თქვენგანს უთქვამს და ეს თქვენს სახეებზეც წერია. თქვენ უნდა გაგეკეთებინათ ის, რომ ჩატარებულიყო საპარლამენტო გამოძიება – ეს თქვენი გასაკეთებელი საქმეა“, – მიმართა რატიანმა საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს.

დეპუტატმა შალვა თათუხაშვილის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებული დეტალებიც გაიხსენა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმრავლესობამ არც ამ საქმეზე ისურვა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა.

„კითხვები უკვე არის პრემიერთან და საპარლამენტო უმრავლესობასთან“, – აღნიშნა რატიანმა. (ინტერპრესნიუსი)

# რას გვატყუებს პარლამენტი „ელგებეტეების“ უფლებების დაკანონებაზე?

## რა კანონი მოქმედებს ევროპულ საფრანგეთში?

**რატომ გვიმტკიცებს პარლამენტი, რომ ევროკავშირთან ასოცირებისთვის ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება სავალდებულოა იმ სახით, რა სახითაც სურთ მისი მიღება? როგორაა ეს საკითხი განსაზღვრული იმ ქვეყნებში, ვისთანაც ასოცირების ხელშეკრულებას ხელი უნდა მოვაწეროთ?**

**„ალიას“ საფრანგეთში მოღვაწე ჟურნალისტი, გიორგი ფოფხაძე ესაუბრა:**

**— გიორგი, ჩვენთან რომ ასეთი ამბავია ატეხილი ანტიდისკრიმინაციულ კანონზე, ევროპაში რას ამბობენ, თუ არ მიიღებენ იმ სახით, როგორიც შევიდა პარლამენტში, ასოცირებაზე ხელს არ მოვუწერთო?**

– საფრანგეთში არც არავინ არაფერს ამბობს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, თუმცა ფრანგებს თვითონ აქვთ ასეთი კანონი, რომელიც „თანასწორობის კანონის“ სახელით არის ცნობილი. ამ კანონში ასე სკრუპულოზურად არაა ჩამოყალიბებული დეფინიციები, თუმცა საფრანგეთში ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა ან დისკრიმინაცია სასტიკად იკრძალება მის ნებისმიერ ფორმაში. აქ უფრო რასიზმზეა გაკეთებული აქცენტები და კანის ფერზე, რადგან საფრანგეთი მრავალეთნიკური და მრავალეროვანი ქვეყანა გახლავთ.



სექსუალური უმცირესობების უფლებები იგულისხმება იმ საერთო განმარტებებში, რაც ამ კანონშია მოცემული, თუმცა საფრანგეთში გასულ წელს მიღებული კანონი ერთსქესიანი ქორწინებების შესახებ, ზუსტად რომ ანტიკონსტიტუციურად ჩაითვალა, რადგანაც საფრანგეთის კონსტიტუცია, როგორც აღმოჩნდა, დაფუძნებულია ქრისტიანულ მორალზე და იქ ოჯახის განსაზღვრება არის „ქალისა და მამაკაცის“ ურთიერთობა. ამიტომ დღემდე მემარჯვენე ოპოზიცია ჰპირდება ფრანგებს, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზების კანონი შეიცვლებაო.

საფრანგეთი საკმაოდ ტოლერანტული ქვეყანაა და ნებისმიერი უმცირესობების უფლებები სათანადოდ არის დაცული, არც საფრანგეთსა და არც ევროპაში ისეთი წარმოდგენები „ლგბტ“-ზე და საერთოდ სექსუალურობაზე ნამდვილად არ არსებობს, რაც საქართველოში წარმოუდგენიათ ეგრეთწოდებულ „ლიბერალებს“ და რასაც ეს ადამიანები აპრიორ ევროპულობად ასაღებენ. არც აქვთ იმდენი უფლებები, რასაც ზოგიერთები საქართველოში ითხოვენ.

ახლა რელიგიურ საკითხზე რომ იმოძღვრებიან „ლიბერალები“ და ამბობენ, საპატრიარქოს უფლებები და ზოგადად, მართლმადიდებლობა არ იზღუდებაო, ასე ამბობდნენ მაშინაც, როცა „რელიგიის კანონი“ მიიღეს და თუკი რამე მიმდინარეობა არსებობდა, მართლმადიდებლობას გაუთანაბრეს. მაშინაც ევროპაო, გაიძახოდნენ. მიუხედავად იმისა რომ, საფრანგეთი სეკულარული ქვეყანაა, აქ კათოლიკური ეკლესიის პრიორიტეტია და სახელმწიფო, ისევე როგორც კათოლიციზმი, სხვა რელიგიებიდან ცნობს მხოლოდ მართლმადიდებლობას, ისლამს, იუდაიზმსა და ბუდიზმს, დანარჩენი სხვა არის გამოცხადებული სექტად და საფრანგეთში კანონმდებლობით იკრძალება. მაგალითად, თუ თქვენს სახლში მოვიდა იეღოველი და ქადაგება დაგიწყოთ, მშვიდად შეგიძლიათ აიღოთ ტელეფონი, დაურეკოთ პოლიციას და მქადაგებელი მიაბრძანოთ საკუთარი სახლიდან პოლიციის ძალით.

**— მთავარი მითხარით: თუ იმ სახით არ დამტკიცდა კანონი, როგორცაა შემოთავაზებული, მართლა აღარ მოეწერება ხელი ასოცირებას? ასე ამბობს უმრავლესობა პარლამენტში.**

– არ მგონია, ასეთი ვალდებულება მოეცა ჩვენთვის რომელიმე ევროპულ სტრუქტურას. ...ჩემი აზრით, ანტიდისკრიმინაციული კანონი მისაღებია, მისაღები კი არა, აუცილებელია, მაგრამ სულ სხვა კუთხით. ამ კანონში სულ სხვა პრიორიტეტები უნდა იყოს მთავარი და ამ კანონიდან უნდა გამოდიოდეს მეორე უმნიშვნელოვანესი კანონი – ეროვნული უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირების შესახებ. კანონი თავისი არსით ნებისმიერი ადამიანისთვის უნდა იყოს მისაღები და არავის პრიორიტეტულ მდგომარეობაში არ უნდა აყენებდეს, ეს აქსიომაა. ასევე აქსიომაა, რომ კანონით ერთნაირად უნდა იყოს დაცული ადამიანის უფლებები და რაც მთავარია, მოვალეობები. კანონი უნდა იცავდეს და არა მუშტს ურტყამდეს. ამ კანონში, რასაც ახლა ქართველი პარლამენტარები ცდილობენ მიიღონ, მე ზუსტად ამ საფრთხეებს ვხედავ, ასევე კანონში არაა გათვალისწინებული რისკები. არაა გათვალისწინებული, ვინაა ამ კანონის აღმსრულებელი. პარლამენტის მცდელობა, ანტიდისკრიმინაციული კანონის აღმსრულებლად ომბუდსმენის



**„არც საფრანგეთში და არც ევროპაში ისეთი წარმოდგენები „ლგბტ“-ზე და საერთოდ სექსუალურობაზე ნამდვილად არ არსებობს, რაც საქართველოში წარმოუდგენიათ ეგრეთწოდებულ „ლიბერალებს“ და რასაც ეს ადამიანები აპრიორ ევროპულობად ასაღებენ. არც აქვთ იმდენი უფლებები, რასაც ზოგიერთები საქართველოში ითხოვენ“**

*გაგრძელება მეათე გვერდზე*

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

## საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ხელოვანი პაატა ქურდაძე და ირაკლი ალასანიას მეუღლე ღარიბაშვილს საყვედურობენ



მთავრობის განკარგულებით, საპატრიარქოსთვის „მიხაილოვის საავადმყოფოს“, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაცემამ ბევრის გაღიზიანება გამოიწვია. ბევრი ირაკლი ღარიბაშვილზე ბრაზობს, რადგან მთავრობის განკარგულებას ხელს სწორედ პრემიერ-მინისტრი აწერს...

„1 ლარად მამამისის სახლი აჩუქოს საპატრიარქოს!.. ვინ მისცა უფლება... ვინ იღებს ამ გადაწყვეტილებებს? რა არგუმენტი მოაქვთ ამ გაჩუქებაზე? რას ნიშნავს ეს ყველაფერი?“ – აცხადებს საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ხელოვანი პაატა ქურდაძე. მისი თქმით, საქართველოს სამკურნალო დაწესებულებები „თავზე არ გადასდის“.

„არ შეიძლებოდა, ისევ რაიმე სამედიცინო დანიშნულების მიხედვით გამოეყენებინათ? ისე მოხდა, რომ დედაჩემიც და მამაჩემიც ორივე აქ გარდაიცვალა... ღარიბაშვილის შეფასებით, ამ ერთლარიან, 145 წლის წინათ აშენებულ საავადმყოფოში... რამე რომ იყოს, ირაკლი ღარიბაშვილის მშობლებს, ღმერთმა არ გაუჭირვოთ და პატრიარქივით, ალბათ, გერმანიაში გააქანებენ არა? ...ისე, მორგი მაინც დატოვონ... უსაავადმყოფო ქალაქში მორგი ძალიან სასარგებლო რამ არის... თან საპატრიარქოს მორგი კარგად, მიმზიდველად ჟღერს, რაღაც ნდობას იმსახურებს... ექვსი წელია, პარიზის ნეკერის საავადმყოფოში დავდივარ, სამ თვეში ერთხელ პრევენციულ შეხვედრაზე ერთ ექიმთან, რომელსაც 1771 წლის მერე „ავადმყოფი ბავშვების“ საავადმყოფო ჰქვია... პროფილიც კი არ შეუცვლია, დღემდე პედიატრიულია, მხოლოდ ნეფროლოგიისა და კარდიოლოგიის პატარა სერვისებია უფროსებისთვის. ძალიან დიდია, მთელი კვარტალია ფაქტობრივად, თან ცენტრში – ინვალიდების სასახლესა და „მონ პარნასს“ შორის... მთელი ამ ხნის განმავლობაში არავის მოსვლია აზრად მისი არც სასტუმრო პალასად გადაკეთება, არც პარიზის კარდინალისთვის გადაცემა ერთ ფრანკად თუ ევროდ... მერე მეტყვიან, პარიზს როგორ ადარებო.. ასე თუ გააგრძელეს, პარიზს კი არა, ჩელიაბინსკსაც ველარ შევადარებ“. – წერს პაატა ქურდაძე.

აღნიშნულ საკითხს ირაკლი ალასანიას მეუღლეც გამოეხმაურა.

„იცი, როგორი რაღაცები არ ესმით? აი, ისეთი, რომ ვერც აუხსნი... მიხაილოვი, ასათიანი... ეს ქალაქის ისტორიაა. აი, თუნდაც, მიხაილოვის დილომში გადატანა რომ არ შეიძლება, აი ისე, როგორც რუსთაველის თეატრის, მაგალითად, არ ვიცი, ეს როგორ უნდა ასწავლო მთავრობას, საპატრიარქოს, ადამიანებს“. – წერს ნათია ფანჯიკიძე. (ნიუპოსტი)

## რატომ შეჩერდა „ლაგუნა ვერეს“ ფუნქციონირება?



ფონდი „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარის ნიკოლოზ ჩხეტიანის განცხადებით, გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს „ლაგუნა ვერეს“ ფონდი „ქართუ“ ფლობს, არასწორია. ჩხეტიანის განმარტებით, „ლაგუნა ვერე“ „ქართუ ჯგუფში“ შემავალი ერთ-ერთი კომპანიის საკუთრებაში შედის, თუმცა „ქართუ“ ფონდის არ არის. მისი ინფორმაციით, „ლაგუნა ვერეში“ ინფრასტრუქტურული ხასიათის პრობლემებია.

„თუ არ ვცდები, ის აშენებულია 70-იანი წლების ბოლოს და მას შემდეგ კაპიტალური რემონტი არ ჩატარებია. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ამორტიზებულია მისი ძირითადი დანადგარები და გაყვანილობები. ანუ, მისი ექსპლუატაცია დაუშვებელია ამ პირობებში და სახიფათოც კი არის ვიზიტორებისთვის. შესაბამისად, ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება და შეაჩერა მისი ფუნქციონირება. როგორც ვიცი, სწავლობენ საკითხს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ“, – განაცხადა ნიკოლოზ ჩხეტიანმა. (კვირა)

## შესაძლოა, საქართველოსა და სეიშელს შორის უვიზო მიმოსვლა ამოქმედდეს



საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვახტანგ ჯაოშვილმა (ეთიოპიაში) სეიშელის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჯეიმს მიშელს რწმუნებათა სიგელი გადასცა.

ცერემონიის დასრულების შემდეგ შეხვედრა გაიმართა, რომელზეც პრეზიდენტმა და ელჩმა ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკების სტადიაში მყოფი ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და საჰაერო მიმოსვლის ხელშეკრულებები, საერთაშორისო ორგანიზაციებში ურთიერთმხარდაჭერის ინტენსიფიკაცია, თანამშრომლობა კულტურის სფეროში და სეიშელელი სტუდენტებისთვის საქართველოში განათლების მიღების შესაძლებლობა განიხილეს.

ჯეიმს მიშელმა გამოხატა სურვილი საქართველოსა და სეიშელის მოქალაქეთათვის უვიზო მიმოსვლაზე ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით. სეიშელის პრეზიდენტმა გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ვიზიტიც გაიხსენა. (რეპორტიორი)

*მეცხრე გვერდიდან*

აპარატთან შექმნილი რაღაც კომიტეტი მოგვევლინოს, უკვე ძირშივე სპობს თვითონ ომბუდსმენის ინსტიტუტის ლეგიტიმურობას, რადგან სახალხო დამცველი გახლავთ უფლებების დამცველი ორგანო და არა ვიღაცის დამსჯელი...

მოდით, ისევ იმას მივუბრუნდეთ, რაც ცოტა ზევით დავიწყე, თან საკუთარ მაგალითზე გეტყვით. ამ ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძველზე მე, უცხოელმა გიორგი ფოფხაძემ, მივიღე განათლება და დავიწყე საფრანგეთში ზუსტად ის სამსახური და იმ სფეროში, რაც მე მინდოდა და რა პროფესიაც მქონდა. ჩემთვის არავის არ უკითხავს, ვინ ვიყავი ეროვნებით, რა რელიგია ან მრწამსი და სექსუალური ორიენტაცია მქონდა, მაგრამ როდესაც ფრანგები საკუთარი თავის რეალიზების ასეთ თავისუფლებას გაძლევენ, ზუსტად ამ ანტიდისკრიმინაციული კანონიდან გამომდინარე გთხოვენ, აი, რას, პირველი: პატივი სცე საფრანგეთს, მის კულტურასა და ტრადიციას, მოიქცე და იცხოვრო იმ ტრადიციებით, რაც ფრანგებისთვის არის მისაღები (რა თქმა უნდა, საკუთარი ტრადიციებისა და კულტურის გათვალისწინებით). მეორე – შეისწავლო ფრანგული ენა და ინტეგრირება მოახდინო ფრანგულ საზოგადოებაში. ამიტომ მე ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია საქართველოში ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება და ზუსტად ეს კანონი უნდა გახდეს საფუძველი, ჩვენი არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრაციისა ქართულ საზოგადოებაში. როდესაც ასეთი კანონი გექნება, მაშინ ამ ხალხს უკვე შეგიძლია უთხრა: იცით რა, ჩემო კარგებო და საყვარლებო? ახლა კეთილი ინებეთ და ისწავლეთ ქართული ენა, პატივი ეცით ქართულ კულტურას და ტრადიციებს, რადგან თქვენ გაქვთ ამ ყველაფრის მოვალეობა, რადგან თქვენ ამ კანონით საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები ხართ და არავის არა აქვს უფლება, შეურაცხყოფა მოგაყენოთ თქვენი ეროვნული წარმომავლობის ნიადაგზე.






**— ასეთი რამეც გავიგე: საქართველოში ამ კანონის „ელგებეტეებზე" მორგებით მიღებას იმიტომ ცდილობენ, რომ პრეცედენტი შეიქმნას, რათა მერე სხვა ქვეყნებსაც, ვისაც ევროკავშირში შესვლა მოუნდებათ, ამავე სახით მიაღებინონ. ამაზე გსმენიათ რამე?**

– ქართულ პოლიტიკაში სიცრუე ცხოვრების ნორმა გახდა. ევროკავშირშიც კი არის ქვეყნები, სადაც ასეთი კანონი არ არსებობს, თუმცა ეს ქვეყნები ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრები არიან. ასეთი ქვეყნებია ირლანდია, საბერძნეთი და კვიპროსი. ყოველ შემთხვევაში ამ წუთში მხოლოდ ეს ქვეყნები გამახსენდა.

საქართველოში კულუარულად ძალიან ბევრ სისულელეს ამბობენ და ხანდახან სპეციალურადაც, ხალხის გზა-კვალის ასაბნევად, თორემ მე ნამდვილად არ გამიგია მსგავსი რამ, ეს ყველაფერი ზუსტად იმაზე მიანიშნებს, რომ თვითონ ქართველმა პოლიტიკოსებმა არ იციან, რას წარმოადგენს ევროკავშირი. უბრალოდ, სხვა მომენტია, ჩვენთან არ ხდება გააზრება, რაა ევროკავშირი, რას წარმოადგენს ეს რეგიონალური ორგანიზაცია, რა პრიორიტეტებზეა დაფუძნებული, გადაწყვეტილების მიღების რა მექანიზმებია, როგორ შეუძლია მულტიკულტურულ საზოგადოებას ერთ გაერთიანებაში ცხოვრება ისე, რომ არც ერთი ერის ტრადიცია და კულტურა არ დაზიანდეს და ასე შემდეგ.

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არ ხდება მუშაობა, მაგრამ... ვინც ამაზე უნდა მუშაობდეს წესით და კანონით, თვითონ მათ არ იციან ეს ყველაფერი. აი, ამაშია კიდევ დიდი უბედურება.

...სრული მარგინალიზმია ყველგან. ტელევიზიები ხშირად აქ ჟურნალისტებს აგზავნიან, რომლებმაც ევროკავშირი კი არა, სტრასბურგისა და ბრიუსელის გარჩევა არ იციან ერთმანეთისგან, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ევროპარლამენტი ჰგონიათ და ევროპელთა საბჭო – ევროსაბჭო. ჰოდა, ასეთ სიტუაციაში რატომ გვიკვირს, რომ მოსახლეობის 90%-ს წარმოდგენა არა აქვს ამ თემაზე?

»» ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დაღუპულ სამხედროთა ოჯახების დასახმარებლად განსაზღვრული თანხა გაორმაგდება



საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მთავრობა განსაკუთრებულ პატივს მიაგებს დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნას და გვერდში უდგას იმ ოჯახებს, რომლებმაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში მამები, შვილები, ქმრები დაკარგეს.

„მიმდინარე წლის იანვრიდან ეს ოჯახები სახელმწიფოსგან ყოველთვიურად 500 ლარს იღებენ, მომავალი წლიდან ამ თანხას გავაორმაგებთ. ეს არის ის მცირედი, რითაც ჩვენ განსაკუთრებულ დამოკიდებულებასა და პატივისცემას გამოვხატავთ ჩვენი გმირი მეომრების მიმართ", – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, სახელმწიფოს ვალია, იზრუნოს მათზე, ვინც სამხედრო ვალდებულების შესრულებისას დაიჭრა. ღარიბაშვილის განცხადებით, „ეს ხალხი ჩვენი საზოგადოების ყველაზე ღირსეული ნაწილია – სწორედ მათ ერგოთ პატივი, ბრძოლის ველზე დაეცვათ სამშობლო – ეს ღირსეულთა ხვედრია". (რეპორტიორი)

## დავით ნარმანიამ მოსახლეობას ახალი შუქნიშნის პროექტი გააცნო



თბილისის მერობის კანდიდატმა დავით ნარმანიამ ვაკის მოსახლეობას ჭავჭავაძის გამზირისა და კავსაძის ქუჩის კვეთაზე მდებარე შუქნიშნის სქემის რეკონსტრუქციის პროექტი გააცნო, რომელიც არჩევნებში მისი გამარჯვების შემთხვევაში, დედაქალაქში განხორციელდება.

პროექტის ავტორია შპს „საქგზამეცნიერება". პროექტის განხორციელება შესაძლებელს გახდის, ჭავჭავაძის გამზირის გავლით, ბაგებისა და კავსაძის ქუჩიდან მოძრავი სატრანსპორტო ნაკადების ახალ, გმირთა მოედნისა და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელ მაგისტრალზე შესვლას, რაც თავისთავად ჭავჭავაძის გამზირს განტვირთავს.

„ვფიქრობ, ჩვენი პროექტი პრობლემის მოგვარების ეფექტიანი გზაა. მოქალაქეების რეკომენდაციებისა და საქმიანი წინადადებების გათვალისწინებით, ჩვენ ერთად შევიმუშავებთ ქალაქის განვითარების ახალ გენერალურ გეგმას, ერთად ვიზრუნებთ თბილისის უბნებზე, მის ეკოლოგიასა და რეკრეაციული ზონების გაფართოებაზე და ერთად ვაქცევთ თბილისს განვითარებული ეკონომიკის მქონე კომფორტულ, მშვიდ და უსაფრთხო ქალაქად, რომელიც დაიბრუნებს რეგიონის ცენტრის ფუნქციას", – განაცხადა დავით ნარმანიამ. (კვირა)

## თავდაცვის მინისტრმა სამხედროებს შეიარაღებული ძალების დღე აშშ-დან მიულოცა



ირაკლი ალასანია სან-დიეგოში, ამერიკულ კლინიკაში იმყოფება, სადაც დაჭრილ სამხედროებს ულტრათანამედროვე პროთეზები უკეთდებათ.

„ჩემთვის დიდი პატივია მივულოცო დღევანდელი დღე იმ ადამიანებს, რომელთა დევიზია – სამშობლო, ღირსება, ერთგულება. ეს ბიჭები ერთგული ჯარისკაცები არიან ჩვენი ქვეყნის, რომლებმაც არაერთხელ დაამტკიცეს მშვიდობისა და საბრძოლო მოქმედებების დროსაც, რომ მათთვის საკუთარ სიცოცხლეზე მეტად, სამშობლოს ინტერესებია უპირველესი. მინდა, განსაკუთრებულად მივულოცო დღევანდელი დღე მათ, ვინც დღესაც, ამ წუთებშიც საგუშაგოზე დგანან და იცავენ ჩვენი ქვეყნისა და საერთაშორისო უსაფრთხოებას. მინდა, გავიხსენო ჩვენი თანამებრძოლები, ის გმირები, ვინც საკუთარი სიცოცხლე გაწირეს საქართველოსთვის. ქვეყნის არაკეთილმოსურნეებს, პირველ რიგში, კრიტიკა მიაქვთ სწორედ შეიარაღებულ ძალებზე. უნდათ, დააზიანონ ჩვენი შეიარაღებული ძალების იმიჯი, რადგან კარგად ესმით, რომ ჩვენი ქვეყნის ხერხემალი, ჩვენი ქვეყნის სიმტკიცე სწორედ ამ ბიჭებზეა დამოკიდებული. მინდა მათ ვუთხრა, რომ ვერაფერი შეარყევს ჩვენი შეიარაღებული ძალების სიძლიერეს. 93 პროცენტი მთელი საქართველოს მოსახლეობა მხარს უჭერს და ენდობა შეიარაღებულ ძალებს და მათთან ერთად კიდევ უფრო გაძლიერდება თავდაცვის სამინისტრო. მომავალში ჩვენ და გენერალურ შტაბს გვაქვს ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი გეგმები და სწორედ ამ ვაჟკაცებთან ერთად, ამ გეგმებს ბოლომდე მივიყვანთ. გილოცავთ საქართველოს შეიარაღებული ძალების დღეს!" – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა. (პირველი)

ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები...

## „ლევანი ჯანმრთელი იყო, მაგრამ როდესაც პოლიტიკურად საშიში გახდა, გულის შეტევით გარდაიცვალა"



უმრავლესობის წევრი, შალვა შავგულიძე არ გამორიცხავს, რომ ლევან მიქელაძის გარდაცვალების საქმის გამოძიება ისევ დაიწყოს. მისი თქმით, მიქელაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული შეკითხვები, რასაც პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს.

„ლევანი იყო წარმატებული დიპლომატი, მაგრამ მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა მაშინდელი ხელისუფლების რეპრესირებული კურსი. 7 ნოემბრის აქციის შემდეგ, ის გადადგა და ოპოზიციაში გადავიდა. ლევანი იყო ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ალასანიას გუნდის ფორმირებაში. ამის შემდეგ ის, როგორც ოპოზიციონერი, საშიშ ფიგურას წარმოადგენდა მაშინდელი ხელისუფლებისთვის. რაც შეეხება ყაჩაღურ თავდასხმას, რომელიც მის სახლზე განხორციელდა, ფაქტები მიუთითებს, რომ ეს იყო იმიტაცია. გამოძიებამ, ფაქტობრივად, გაყალბებული ფაბულა წარმოადგინა. ფაქტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ყაჩაღობის დროს ოჯახის წევრებმა პატრულში დარეკეს, თუმცა სამართალდამცველები შემთხვევის ადგილას საათზე მეტი ხნის დაგვიანების შემდეგ გამოჩნდნენ. ძალიან საეჭვოდ ემთხვევა ის გარემოებაც, რომ, როდესაც პატარკაციშვილი პოლიტიკურად საშიში გახდა, მასაც მოულოდნელად, ჯანმრთელ ადამიანს, გულის შეტევა დაემართა. ლევანსაც გული არასოდეს აწუხებდა. ის ჯანმრთელი ცხოვრებით ცხოვრობდა, თუმცა როდესაც პოლიტიკურად საშიში გახდა, ისიც გულის შეტევით გარდაიცვალა. ეს ყველაფერი ეჭვის საფუძველს აჩენს. დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი ხელისუფლება, ისე როგორც სხვა ბევრ საქმეს, ლევან მიქელაძის საქმესაც სრულყოფილად გამოიძიებს", – აცხადებს შალვა შავგულიძე.

ლევან მიქელაძის ოჯახიც მიიჩნევს, რომ მისი გარდაცვალება ხელოვნურად იყო გამოწვეული.

აღნიშნული ეჭვის საფუძველს ლევან მიქელაძის ძმას ალტერნატიულ ექსპერტიზაზე უარის თქმა აძლევს. მისივე თქმით, აღსანიშნავია ისიც, რომ მიქელაძის სახლში მის გარდაცვალებამდე უცხო პირი იყო შესული.

როგორც მამუკა მიქელაძე აცხადებს, ოჯახს სურდა, რომ ლევან მიქელაძის ცხედრიდან აღებული საექსპერტო ნიმუშებისთვის ალტერნატიული ექსპერტიზა აშშ-ში ჩაეტარებინა, თუმცა, ექსპერტიზის ბიუროდან მიქელაძის ადვოკატმა შალვა შავგულიძემ მასალა ვერ მიიღო. მისივე თქმით, საეჭვო გარემოებაა გამოძიების არაკვალიფიციურად წარმართვაც. (ინტერპრესნიუსი)

## ბათუმში პროკურორის მანქანა დაწვეს



ბათუმში, დაუდგენელმა პირმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორის, ფრიდონ ქარცივაძის სამსახურებრივ ავტომანქანას ცეცხლი წაუკიდა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობს 187-ე მუხლის მეორე ნაწილით. აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე პირი კი კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება.

შემთხვევა ბათუმში, ჯავახიშვილის №32 საცხოვრებელი კორპუსის ეზოში მოხდა. როგორც მეზობლები ამბობენ, დაახლოებით დილის 04:00-05:00 საათზე ავტომობილს ცეცხლი მოეკიდა. პროკურორ ფრიდონ ქარცივაძის ერთ-ერთი მეზობელი ინდირა სირაძე აცხადებს, რომ მხოლოდ ცეცხლმოკიდებული ავტომობილი ნახა, ხოლო რაიმე სახის ხმაური არ გაუგია. მისივე განმარტებით, დილით დამწვარი ავტომობილი აღარ უნახავს, რადგან მანქანა, სავარაუდოდ, სამართალდამცველებმა წაიყვანეს.

ბათუმელი ადვოკატები მომხდარს ანგარიშსწორებას უკავშირებენ და აცხადებენ, რომ წლების განმავლობაში ფრიდონ ქარცივაძე პროკურორის თანამდებობაზე მუშაობდა და მან არაერთი მწვავე საქმე გამოიძია. ადვოკატი რამინ პაპიძე მომხდარს გმობს და გამოძიებას ითხოვს.

(ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## ხათუნა ლაგაზიძე კოლეგებსა და ჟურნალისტებს აფრთხილებს




ექსპერტ ხათუნა ლაგაზიძის განცხადებით, ერთ-ერთ უპირველესი, ვისაც ძალიან მაღალი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს ნებისმიერი ინფორმაციის მიმართ, მედიაა.

„დღევანდელ პირობებში, როდესაც ქვეყანა ჩასაფრებული მტრების პირობებში იმყოფება, მედიისგან გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია ძალიან დიდი საფრთხის წყაროს შემცველია, რადგან არავინ იცის, ვინ როგორ გამოიყენებს ამას, ამიტომ დღეს, როდესაც ხელისუფლების, პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ, ერთ-ერთ პირველი, ვისაც ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს, ეს მედიაა. რა თემასაც არ უნდა ეხებოდეს ინფორმაცია, დეზინფორმაციის გავრცელებამ შესაძლოა, ძალიან ცუდი, დეტონატორის როლი ითამაშოს საზოგადოების აფეთქებაში, რასაც გარედან ძალიან ბევრი ჩასაფრებული ელოდება“, – განაცხადა ლაგაზიძემ.

ექსპერტი მოუწოდებს მედიის წარმომადგენლებსა და კოლეგებს, რომ ნებისმიერი შეფასებისა და ინფორმაციის გავრცელებისას მაქსიმალურად ფრთხილები იყვნენ.

„გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება დღეს შესაძლოა, შეცდომის ფარგლებს გაცდეს. ბოლო დღეებია, ვხედავთ, რა ხდება, თითქოს ზვავივით აგორებული ნაკადი მოდის, რომელიც ეკლესიასა და ხელისუფლებას დაპირისპირებით ემუქრება და ასევე, ძალიან ბევრი ისეთი თემაა, რომელიც, ერთი მხრივ, ხელისუფლების დისკრედიტაციას ემსახურება და მეორე მხრივ, საზოგადოებაში დაპირისპირების მუხტებს დებს. ამ დროს, რა თქმა უნდა, ერთ-ერთ უპირველესი, ვისაც ძალიან მაღალი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს ნებისმიერი ინფორმაციის მიმართ, რომელსაც ის უშვებს, არის სწორედ მედია. ხვალ და ზეგ, ღმერთმა არ ქნას და თუ უმართავი პროცესები აგორდა, ძალიან ძნელი იქნება იმის გარჩევა, ვინ იდგა ამა თუ იმ დეზინფორმაციის უკან, ამიტომ ამას ყურადღება ყველამ დღეს უნდა მიაქციოს“, – განაცხადა ლაგაზიძემ. (პირველი)

## საქართველოში არატრადიციული ორიენტაციის პირებისადმი მიძღვნილი კომედიური ფილმი გადაიღეს



„გარიგება 2“-ისა და „დარჩი ჩემთან“-ის პროდიუსერი დავით ბეჟიტაშვილი არატრადიციული ორიენტაციის მქონე პირთა შესახებ კომედიურ ფილმს იღებს, რომლის პრემიერა თბილისის კინოთეატრებში 17 მაისს – ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს გაიმართება. „ფილმი, რომლის სახელწოდებაა „ჩვენ გიჟები ვართ“, ასახავს დღევანდელ ქართულ რეალობას. ეს არატრადიციული კომედიაა, რომელიც პროვინციელი ახალგაზრდების შესახებ მოგვითხრობს. ფილმში კარგად არის ნაჩვენები, როგორ ხვდებიან შვილების არატრადიციულ ორიენტაციას ტრადიციების დამცველი, „ნამდვილ ქართულ ოჯახში“ აღზრდილი მშობლები და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები. შედეგად, მათ სურთ საქართველოდან წასვლა, მაგრამ გარკვეული წინააღმდეგობების გადალახვა უწევთ“, – განაცხადა დავით ბეჟიტაშვილმა. აღსანიშნავია, რომ „ჩვენ გიჟები ვართ“, არატრადიციული ორიენტაციის მქონე პირებისადმი მიძღვნილი, საქართველოში გადაღებული პირველი ფილმი იქნება. (ფრონტნიუსი)

## ოპერისა და ბალეტის თეატრის რეკონსტრუქცია მიმდინარე წელს დასრულდება



ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე, ნიკოლოზ ჩხეტიანი, მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში სამშენებლო პროექტები გაჩერებულია, არ იზიარებს.

„სამშენებლო პროექტებზე ხშირადაა საუბარი, რომ ჩვენ ისინი შევაჩერეთ, თუმცა ეს სიმართლე არ არის. მიმდინარეობს ოპერის თეატრის რეკონსტრუქცია. ეს მნიშვნელოვანი და ძვირადღირებული პროექტია. ამ წელს სამუშაოები დასრულდება და თბილისს განახლებული ოპერა ექნება“, – განაცხადა ჩხეტიანმა. (ფრონტნიუსი)

## პარლამენტმა „მაუწყებლობის შესახებ კანონში“ შესატანი ცვლილებები დაამტკიცა



საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, კანონპროექტით გათვალისწინებულია ახლად არჩეული სამეურვეო საბჭოს ამოქმედება ისე, რომ მას აღარ მოჰყვება სამეურვეო საბჭოს წინა შემადგენლობის წევრების საჯარო სამსახურიდან, როგორც ამას მიიჩნევს საკონსტიტუციო სასამართლო, გათავისუფლება.

ეს პირები რჩებიან საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვის სისტემაში, როგორც ამ სისტემაში შექმნილი დროებითი ორგანოს – მონიტორინგის საბჭოს წევრები და აგრძელებენ იმ სარეკომენდაციო ფუნქციების განხორციელებას, რასაც ისინი კანონის საფუძველზე ასრულებდნენ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში. ამასთანავე, ცვლილებებით ფართოვდება მათი კომპეტენცია, სარეკომენდაციო ფუნქციას ემატება საზედამხედველო-სამონიტორინგო ფუნქცია და დგინდება ამ ფუნქციების განხორციელების კონკრეტული მექანიზმები.

მონიტორინგის საბჭოს წევრებს, რომლებსაც სამეურვეო საბჭოს წევრობის უფლებამოსილება ეწურებათ 2015 წლის განმავლობაში, მონიტორინგის საბჭოს წევრობის უფლებამოსილება უწყდებათ 2016 წლის 1-ელ იანვარს. ხოლო ვისაც 2017 წლის განმავლობაში ეწურებოდათ, მათ მონიტორინგის საბჭოს უფლებამოსილების ვადა 2017 წლის 1-ელ იანვარს უწყდებათ. აღნიშნული დროებითი საბჭოს წევრის ყოველთვიური ჰონორარი სამეურვეო საბჭოს წევრის ჰონორარის 80% იქნება.

კანონში შესატანი ცვლილებები, პირველი მოსმენით, 80 ხმით 13-ის წინააღმდეგ დამტკიცდა. (ნიუპოსტი)

ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები...



# რა შეცდომები დაუშვა არასაპარლამენტო ოპოზიციამ?

წინასაარჩევნო ციებ-ცხელება უკვე დაიწყო. მართალია, ბრძოლა წესების გარეშე, როგორც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა, სრულ ზენიტში ვერ იქნება, მაგრამ დაპირისპირებული პარტიები ერთმანეთის პროვოცირებისთვის ძალ-ღონეს რომ არ დაიშურებენ, აშკარაა – „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატ დავით ნარმანიას, რომელიც „მზიურის“ დასუფთავების აქციაში მონაწილეობას გეგმავდა, პარკი დასუფთავებული დახვდა. როგორც კი შესაბამისი ანონსი გავრცელდა, მერიის დასუფთავების სამსახურმა, როგორც ჩანს, სასწრაფოდ მოაწესრიგა ტერიტორია...

**ინტერვიუ ექსპერტ ვახტანგ ძაბირაძესთან:**

**— ბატონო ვახტანგ, ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ, მაგალითად, მარნეულში „ოცნებიდან“ კვლავ ნაციონალებში გადანაცვლებულმა ჩინოვნიკებმა ნაგვის გადასახადი გაუზარდეს მოსახლეობას და უკმაყოფილება, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელისუფლების მიმართ წამოვიდა. თქვენი შეფასებით, რამდენად სერიოზული პროვოკაციებია მოსალოდნელი „ნაციონალების“ მხრიდან?**

– კონკრეტული ინფორმაციები ჟურნალისტებს უფრო გაქვთ, მაგრამ შემიძლია, შევაფასო, ზოგადად, მოსახლეობაში არსებული განწყობა და ამის მიხედვით შევეცადო დასკვნების გაკეთებას. ბუნებრივია, „ნაციონალები“ ფიქრობენ და ეცდებიან, მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვონ. რა თქმა უნდა, რაღაც სქემები მათ ექნებათ და წესით, უნდა ჰქონდეთ კიდეც, მაგრამ არ მგონია, რომ ასეთმა გადარბენ-გადმორბენებმა, ზოგადად, შეცვალოს სურათი. პრობლემა მე მგონი, უფრო ისაა, რომ, რაკი ოპოზიციამ ვერ მოახერხა გაერთიანება, „ქართული ოცნება“ დარჩა უალტერნატივოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. ახლა ბრძოლა მიდის მეორე ადგილისთვის საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციას შორის. „ქართული ოცნება“ ამ ჯგუფს მოწყვეტილია საკმაოდ სოლიდურად. ასე რომ, „ნაციონალებმა“ შეიძლება რაღაცების გაკეთება სცადონ, მაგრამ ნაკლებად მგონია, ამ მცდელობას მათთვის დადებითი შედეგი ჰქონდეს...

**არ ვიცი, რა შიდა დინებები იყო კონსულტაციების დროს, მაგრამ ფაქტია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანება ვერ მოხდა. ახლა ხმები უკვე იმდენად არის დაყოფილი ოპოზიციურ ფლანგზე, რომ „ნაციონალებს“, რომლებსაც მყარი ჩამოყალიბებული ელექტორატი ჰყავთ, გნებავთ სექტა დაარქვით, რაღაც შანსი უჩნდებათ. ხმები, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა, არ უნდა დაექსაქსათ, ეს უნდა მოეხერხებინა ოპოზიციას და ამ შემთხვევაში ჩაანაცვლებდა „ნაციონალურ მოძრაობას“.**

ქართული პოლიტიკის უცნაურობა – 2007 წლიდან მოყოლებული, თავადაც ვცდილობდი, რაღაცნაირად ხელი შემეწყო, ოდესმე ოპოზიცია გაერთიანებულიყო, ვერ მოხერხდა ეს ვერც ადრე, ვერც ახლა. არ ვიცი, რატომ ჰგონიათ, რომ დანაწევრებულები უფრო მეტს მიიღებენ, ვერ გეტყვით. ყოველ შემთხვევაში, ქართული პოლიტიკისთვის მოულოდნელი დღეს არაფერი ხდება ოპოზიციურ ფლანგზე. რატომ ვერ გამოდის ქართული პოლიტიკური სპექტრი ამ ცუდი ტრადიციიდან, დღემდე გაუგებარია.

**— როგორც ჩანს, „ნაციონალური მოძრაობა“ უფრო კოორდინირებულია, სააკაშვილიც კი ეხმარება უცხოეთიდან და როგორც ერთ-ერთი ბოლო განცხადებისას თქვა, დასავლეთი მას მხარს უჭერს, ფაქტობრივად, დაჭერას გადაარჩინა, თითი დაუქნია ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ამერიკა უცხოეთში ანგარიშების დაყადაღებით დაემუქრა და ა.შ...**

– „ნაციონალურ მოძრაობას“ ექნება თუ არა ამერიკის მხარდაჭერა, არჩევანს აკეთებს საქართველოს მოსახლეობა და არჩევნებისთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. „ნაციონალური მოძრაობა“ სახელისუფლებო პარტია იყო და ბევრი ისეთი რამ გააკეთა, შეინარჩუნა თავისი მხარდამჭერები – შეინარჩუნა იმით, რომ ყოველთვის ეხმარება და უფრთხილდება თავის პარტიულ აქტივს. გახსოვთ, ალბათ, უმუშევრად დარჩენილი გუბერნატორების დასაქმებას როგორ ცდილობდნენ, ფონდები შექმნეს თბილისში და ხაზინიდან თუ ბიუჯეტიდან მათი დაფინანსება არ შეუწყვეტიათ და ა.შ. გარდა ამისა, მათ აქვთ საკმაოდ ძლიერი ფინანსური მდგომარეობა. ამ ყველაფრით ხალხის შენარჩუნება მოახერხეს და ილუზიაც აქვთ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდებიან.

მეორეა, რომ ამ ხალხს წასასვლელიც არ ჰქონდა. ვიღაცებმა მოახერხეს და „ქართულ ოცნებაში“ გადავიდნენ, სახელისუფლებო პარტიებს ასეთი თვისებები აქვთ, ამგვარ კონსტრუქციებს ინარჩუნებენ. ამიტომაა, რომ საკმაოდ ორგანიზებული სტრუქტურა შერჩათ. რა თქმა უნდა, ეს დაიშლება დროთა განმავლობაში, მაგრამ ამ არჩევნებისთვის ისინი 10-15%-ის ფარგლებში ხმებს მიიღებენ. ამის წინააღმდეგ არასაპარლამენტო ოპოზიციას უნდა ემუშავა და წარმატებული იქნებოდა მათი მცდელობა, თუ გაერთიანებას მოახერხებდნენ. ასე რომ, ამერიკა აქ არაფერ შუაშია.

**სააკაშვილი რას ლაპარაკობს, ეს კიდევ სხვა საკითხია. დასავლეთს დღეს „არ სცხელა“, „ნაციონალების“ ლიდერები ციხეში იქნებიან თუ ციხის გარეთ, იმხელა პრობლემა აქვს აკიდებული უკრაინის სახით. ხელშეუხებლობის გარანტია რომ მიეცათ ამერიკელებს, როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი არ ჩამოვიდოდა თბილისში?..**

ამიტომ არ მგონია, რომ მის განცხადებებს სერიოზული განხილვა უნდა მოჰყვეს. აკეთებს განცხადებებს და ამით აპელირებს ქართველ საზოგადოებაზე. საკმარისია, ცოტა ხანს გაჩუმდეს, ქართველ საზოგადოებას ის მაშინვე დაავიწყდება, მაგრამ მან ნამდვილად იცის, რომ არ უნდა გაჩუმდეს, რომ მუდმივად იყოს ყურადღების ცენტრში. ისიც იცის, რომ, რაც უფრო სკანდალურს იტყვის, უფრო მეტი ეფექტი ექნება.

**— დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, საპარლამენტო არჩევნებისთვის ძალთა დაახლოებით როგორი ბალანსი შეიძლება ჩამოყალიბდეს?**

– დღეს მაინც არის განწყობა, რომ ხელისუფლება ბოლომდე ვერ აკონტროლებს სახელმწიფო სტრუქტურების მთელ ვერტიკალს. ამას მოსახლეობაც ხედავს, თუნდაც, თბილისის მერიის მაგალითზე. ამ ყველაფრის გამო საზოგადოება შეღავათებს აძლევს ხელისუფლებას, ამიტომ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დიდი ალბათობით, სავარაუდოდ, „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს უმრავლესობით. ამის შემდეგ პროტესტი თუ ისევ ისე გაგრძელდა, როგორც დღემდე, ეს გამოიწვევს ძალზე ნეგატიურ დამოკიდებულებას ხელისუფლებისადმი და დაიწყება მისი რეიტინგის სწრაფი ვარდნა, რაც შეიძლება, ძალზე ნეგატიური აღმოჩნდეს მისთვის 2016 წლის არჩევნებზე. (ფორ.გე)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველო ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ევროკავშირის ქვეყნებს მიუახლოვდა



ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ ევროინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში მომზადებულ ანგარიშში, რომელიც 2013 წელს საქართველოს მიერ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ორმხრივი და მრავალმხრივი საგზაო რუკების შესრულებას შეეხება, ნათქვამია, რომ საქართველო, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ევროკავშირის ქვეყნების დონეს მიუახლოვდა.

„2013 წელს საქართველოს ხელისუფლება განაგრძობდა მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის კუთხით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. ვფიქრობთ, საქპატენტის აქტივობა ამ მიმართულებით დადებითად უნდა შეფასდეს. ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონმდებლობა ჰარმონიზებულია ევროკავშირის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთან. ქვეყანამ ნაწილობრივ შეძლო ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ევროკავშირის ქვეყნების დონესთან მიახლოება, თუმცა ძირითად პრობლემად კვლავ კანონმდებლობის აღსრულება რჩება“, – ნათქვამია ევროინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში მომზადებულ ანგარიშში. (რეპორტიორი)

2013 წლის 11 სექტემბრის №114 „ალიაში“ დაიბეჭდა სტატია სათაურით: „ჰიპერმარკეტ „ფრესკოში“ ვადაგასულ პროდუქციას ყიდიან“, სადაც საუბარი იყო კონკრეტულ ფაქტზე, როგორ შეიძინა „ალიას“ ჟურნალისტმა ნინო სამხარაძემ ქათამი და სახლში მიტანისას აღმოჩნდა, რომ ის ყარდა. ქათამი რომ საკვებად უვარგისი იყო და ყარდა, სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენელმა გიგა ქურდოვანიძემაც დაადასტურა და მარკეტის თანამშრომელსაც არ უარყვია, რომ ქათამს სუნი ჰქონდა. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ „ფრესკომ“ სასამართლოში იჩივლა და იმის მიუხედავად, რომ ფაქტს რამდენიმე ადამიანი ადასტურებდა, 2014 წლის 15 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ, იმის მომიზეზებით, რომ არ არსებობდა შეძენილი ქათმის უვარგისობის ლაბორატორიული დასკვნა, „დაგვინდო და „ფრესკოს“ მიერ მორალური ზარალისთვის მოთხოვნილი 1 000 000 ლარის ნაცვლად, „ალიას“ სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის და „ფრესკოს“ საადვოკატო მომსახურებისთვის 1500 ლარის გადახდა დააკისრა. გარდა ამისა, „ალიას“ დაეკისრა, პირველ გვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა, რომ სტატიაში აღწერილი სიტუაცია სინამდვილეს არ შეეფერება. ანუ იმის მიუხედავად, რომ არსებობდა ფაქტი, რომელსაც მოწმეები ადასტურებდნენ და არ არსებობდა ფარატინა ფურცელი, მოსამართლემ ერთი ხელის მოსმით, ფაქტების გაუთვალისწინებლად დაასკვნა, რომ სახელმწიფო მოხელე გიგა ქურდოვანიძე, „ალიას“ ჟურნალისტი ნინო სამხარაძე, სტატიის ავტორი თამარ ოქრუაშვილი და ზოგადად, „ალია“ მატყუარები არიან და ამით მან ჟურნალისტებისა და გამოცემის რეპუტაცია შელახა. „ალიამ“ განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

## ვინ არის მოსამართლე თამაზ ურთმელიძე?

დაიბადა 1975 წლის 11 აპრილს, ცაგერში. 1992 წელს დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა. 2002 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1997-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრის თანაშემწედ. 2000 წელს მუშაობდა საქართველოს იუსტიციის საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების სექტორის უფროს კონსულტანტად. 2000-2001 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის საბჭოს სტატისტიკისა და ნორმატიული აქტების სისტემატიზაციის სექტორის უფროსად. 2001-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის საბჭოს სასამართლო პერსონალის სექტორის უფროსად. 2002-2003 წლებში იყო მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრი.

2004-2006 წლებში მუშაობდა იურიდიულ ფირმა „პარტნიორის“ ადვოკატად. 2006 წლიდან არის ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2006-2009 წლებში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. 2009 წლიდან მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში. 2009 წლის დეკემბრიდან, ასევე, დაკისრებული აქვს მარნეულის მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილება. 2010 წლის 1-ლი ნოემბრიდან მივლინებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**ზოგადად, როგორი მოსამართლეა და რამდენად სამართლიანი გადაწყვეტილებები გამოაქვს თამაზ ურთმელიძეს, ამას აუცილებლად გამოვიკვლევთ, მაგრამ ჩვენ ამის შემდეგ, ნებისმიერი 100%-იანი მოსაგები საქმეც რომ გვქონდეს საქალაქო სასამართლოში, მას აუცილებლად აცილებას მივცემდით და ცუდი არ იქნება, ჩვენს რჩევას მკითხველიც თუ გაითვალისწინებს.**



**რატომ დაუსვა მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ „ალიას“ ჰიპერმარკეტ „ფრესკოში“ ნაყიდი აყროლებული ქათამი 6500 ლარი**

# გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ გაფრთხილებთ:

**1. მიეცით აცილება მოსამართლე თამაზ ურთმელიძეს — მისი განაჩენი შესაძლოა, უსამართლო აღმოჩნდეს!!!**

**2. ყურადღებით ნახეთ სუპერმარკეტების ქსელ „ფრესკოში“ საყიდელი პროდუქტი ხომ არ ყარს?**

**მოსამართლე ურთმელიძის გამოტანილ განაჩენს „ალიას“ ადვოკატი, ირაკლი ცნობილაძე ასე აფასებს:**

– საინტერესო აქ ისაა, რომ საქმის განხილვისას მოსამართლემ შეფასება მისცა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც მოხდა კონკრეტული ფაქტის შემდეგ. საქმე კი შემდეგშია: ჟურნალისტმა „ფრესკოში“ შეძენილი გაფუჭებული ქათამი რომ მიიტანა სახელმწიფო დაწესებულებაში, ესაა „სურსათის უვნებლობის სააგენტო“ და იქ ამ სააგენტოს წარმომადგენელმა გიგა ქურდოვანიძემ რომ ნახა და დააფიქსირა, რომ ეს პროდუქტი ნამდვილად იყო უვარგისი, ამას მოჰყვა შემოწმების გაგზავნა ჰიპერმარკეტში, რათა დარჩენილი პროდუქტი შემოწმებულიყო, მოსამართლემ ეს ფაქტები შეაფასა და დაუპირისპირა სტატიაში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს, რის შედეგადაც გამოვიდა, რომ თავად გაფუჭებული ქათმის ყიდვის ფაქტი გამოიგონა ერთმა ჟურნალისტმა, ასევე გამოვიდა, რომ ეს ტყუილი დაწერა უკვე მეორე ჟურნალისტმა და იმ სამსახურის წარმომადგენელმა, რომელსაც ევალება სურსათის კონტროლი, ასევე, განაცხადა ტყუილი. ანუ, სასამართლომ არ იმსჯელა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც უშუალოდ სტატიაში იყო მოთხრობილი. ამ ყველაფრიდან კი გამოდის შემდეგი, რომ სასამართლო ამკვიდრებს შემდეგ პრაქტიკას: ნებისმიერ გარემოებაზე, რაზეც ჟურნალისტი აკეთებს სტატიას, უნდა არსებობდეს ექსპერტის დასკვნა! სასამართლოზე მოსამართლემ პირდაპირ განაცხადა, რომ სახელმწიფო მოხელის, ქურდოვანიძის აზრი ვერ დაუპირისპირდება ლაბორატორიის მიერ გამოკვლეულ მასალას. ანუ, ეს ლაბორატორიული კვლევა იყო უკვე სულ სხვა მოქმედება, პოსტმოქმედება.

ჩემი აზრით, მოსამართლეს უნდა ემსჯელა იმ ფაქტებზე, რაც სტატიაში იყო. სხვათა შორის, მეორე მხარეს ქურდოვანიძის სიტყვები არ გაუხდია სადავოდ, მაგრამ მოსამართლემ მოპასუხედ არ დააყენა ეს პირი და არ ჰკითხა, მაშ, რატომ იცრუა? ჟურნალისტი ენდო ამ პიროვნებას და მასალა სწორედ მისი სიტყვებით გაამაგრა და რა ხდება? გაზეთს რატომ სთხოვენ პასუხს? ჩვენ მოვითხოვთ სააპელაციო სასამართლოსგან ამ გადაწყვეტილების გაუქმებას და დარწმუნებული ვარ, სამართალს მივაღწევთ.

# ჰიპერმარკეტ „ფრესკოში“ ვადაგასულ პროდუქტებს ყიდიან

**როგორია, სახლში მიტანილ თორმეტლარიან „ნედლ ქათამს“ ცელოფანს რომ შემოხსნი და ისეთი სიმყრალე გეცემა, რომ სახლის ორპირი განიავების შემდეგაც ვერ გააქრობ. სიმყრალე ახლა მეზობლებთან გავა და იქიდან ისინი რომ გამოგძახებენ, რა მოხდა, საკანალიზაციო მილი ხომ არ გაგისკდაო? არადა, ეს პროდუქტი იმ გაჩახჩახებულ და ახალ ჰიპერმარკეტში გაქვს ნაყიდი, სადაც ბევრ რამეს გპირდებიან...**

**„ჰიპერმარკეტი „ფრესკო“ ისტორიას 2012 წლიდან ითვლის, როცა ვარკეთილში „ფრესკოს“ პირველი ობიექტი გაჩნდა, 2012 წლის დეკემბერში უკვე მეორე ობიექტი გაჩნდა მუხიანში. „ფრესკოს“ ზოგადი სტრატეგია გულისხმობს განვითარებას გარეუბნებში და ამიტომ დაგეგმილია კიდევ ორი ახალი ობიექტის დამატება. ჩვენს სუპერმარკეტებში თქვენ შეგიძლიათ, გააკეთოთ არჩევანი 25000 დასახელების პროდუქტს შორის, რომელიც დაკომპლექტებულია როგორც ადგილობრივი მომწოდებლის მიერ, ისე „ფრესკოს“ საკუთარი იმპორტისა და წარმოების საშუალებით. ჩვენი კორპორაციული მომსახურება საშუალებას გვაძლევს, ვითანამშრომლოთ და გავუმარტივოთ შესყიდვები უკვე ათასობით კომპანიას. გვესტუმრეთ „ფრესკოში“, რომლის დევიზია „მუდმივად ახალი“! — ვკითხულობთ პრეზენტაციაში.**

**ახლა, ვნახოთ, რა ხდება სინამდვილეში. მოკლედ, ამბავი: ამ ჰიპერმარკეტების ქსელში, რომელიც მუხიანის დასახლებაში მდებარეობს, „ალიას“ ჟურნალისტმა ნინო სამხარაძემ გასულ პარასკევს, 6 სექტემბერს იყიდა ის ქათამი, რომლის სუნმაც ნახევარი მუხიანი ხომ ძირს დასცა და, როცა ჟურნალისტმა ის უკან წაიღო მარკეტში, გზაზე ლამის მთელი მუხიანის ძაღლები უკან მისდევდნენ და ეხვეწებოდნენ, სად მიგაქვს, აგერ დაგვიტოვე, მაგას ადამიანი მაინც ვერ შეჭამსო.**

სამხარაძემ საქმის კურსში სურსათის უვნებლობის სამსახურიც ჩააყენა. სანამ ოფიციალური ლაბორატორია იკვლევს აქოთებულ ქათამს, მანამდე „ალია“ მარკეტს ესტუმრა. ჩვენთან ერთად ამ ვოიაჟს დაესწრო „საქართველოს მომხმარებელთა უფლებების ფედერაციის“ თავმჯდომარე მადონა კოიძე. მოკლედ, მე და მადონა ერთად ვართ „ფრესკო ტრეიდ ჰაუზში“ და სანამ მენეჯერს ველოდებით, საკვები პროდუქტის რიგებს დავყვებით. კოიძე თავისთვის რაღაცებს ავლებს თვალს და საკონტროლო შესყიდვებს აწარმოებს. „ფრესკოს“ მენეჯერი ახალგაზრდა **ნანული დეკანოზიშვილი** აღმოჩნდა. ვახსენებ მომხდარ ამბავს და მისი პასუხი გვაინტერესებს.

**— როგორ ხდება ის ფაქტი, რომ მომხმარებელს ეუბნებით, ახალი და ცინცხალი პროდუქტი გვაქვსო და სინამდვილეში გაფუჭებულ პროდუქტს ყიდით?**

– კი, ჩვენ კამერებში გადავამოწმეთ და მალევე მოვიდა ის გოგო ჩვენთან, სააგენტომ აქედან რომ წაიღო მეორე ნიმუში, იმას არ ჰქონდა სუნი. ჩვენ ყოველ ზომას ვიღებთ, რომ მაქსიმალურად ახალი პროდუქტი იყოს ჩვენთან.

**— აბა, ის მყრალი ქათამი როგორ მოხვდა „ფრესკოში“?**

– კი, რა ქათამიც მოაბრუნეს, იმას სუნი დაჰკრავდა. ისე, თუ ღამე გააჩერებ, ქათამს სუნი აუვა.

**— კი, მაგრამ ახლა თავად არ დამეთანხმეთ, კამერებითაა დაფიქსირებული, რომ მომხმარებელმა მალევე მოიტანა უკანო? ანუ, თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ მყიდველმა ის ქათამი ერთ საათში ძალით დაალპო და მერე თქვენთან იმით მოვიდა?**

– (აშკარად ირევა) ეს ყველაფერი ხომ წაღებული ჰქონდა? ვერ გეტყვით, არ ვიცი, სად დაალპო (ერიჰაა!) მე ხომ არ ვიცი, რა პირობებში ჰქონდა შენახული?

**— კი, მაგრამ დროის რა შუალედია, გავიწყდებათ?**

– კამერები ხომ გაფუჭებულს ვერ აფიქსირებს? მე იმას ვამბობ, რომ კი, სუნი დაჰკრავდა, მაგრამ ლპობა და რაღაც არ იყო. ჩვენ „მინუს“ პირობებს ვიცავთ. უვნებლობის სამსახურმა მოგვთხოვა დანარჩენი ხორცის მოტანა და იმას ასეთი სუნი არ ჰქონდა.

**— რომელი ფირმაა ამ პროდუქტის შემომტანი? რატომ არ აწერია პროდუქტს, ვინ არის მწარმოებელი და რამდენი აქვს შენახვის ვადა?**

– წარმოება არის შპს „ლიზი“. ვისია, არ ვიცი.

**— რას ჰქვია, არ იცით? მე რომ ვარ მომხმარებელი, უნდა მითხრათ, ამ „ლიზის“ რომ პროდუქტი შემოაქვს, ვისი წარმოებისაა? ზედნადები ხომ უნდა გქონდეთ, დაგველაპარაკეთ ვინმე თქვენი ხელმძღვანელობიდან.**

**სანამ „ფრესკოს“ იურისტს დაველაპარაკებოდეთ, მადონა კოიძე მესაუბრება:**

– პროდუქციის რეალიზაცია არის ბოლო წერტილი. მთავარია, პროდუქტი როგორ აქვს დისტრიბუტორს შენახული, რამდენად სწორად მოაქვს სადისტრიბუციო ადგილამდე და შემდეგ სამომხმარებლო დახლზე რომ ხვდება, იქ რამდენად სწორად ინახავენ. ეს ციკლი, ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული და არ აქვს მნიშვნელობა, სად იყო შენახვის პირობები დარღვეული. მაგრამ ხარისხის მენეჯერი, რომელიც ასეთ მსხვილ ობიექტებს კურირებს, ვალდებულია, პროდუქტს სანამ მიიღებს, შეამოწმოს. პროდუქტს უნდა ჰქონდეს სწორი ეტიკეტირება და ვიზუალურად უნდა იყოს შესაბამისობაში. თუ მენეჯერმა პროდუქტი მიიღო და დახლზე განათავსა, ის პასუხისმგებელია როგორც დისტრიბუტორისა და მწარმოებლის მიმართ, ისე თავადაც აქვს პასუხისმგებლობა პროდუქციის რეალიზაციაზე. ვერ ვხვდები, მენეჯერმა რატომ ვერ მოგვაწოდა სრულყოფილი ინფორმაცია პროდუქციის მწარმოებელზე. კანონმდებლობით, რეალიზატორი ვალდებულია, სრულყოფილი ინფორმაცია გასცეს ხარისხსა და უსაფრთხოებაზე, ასევე მწარმოებელზე.

**— თუ მე, მომხმარებელს, პრეტენზია მაქვს ხარისხზე?**

– მაშინ, თქვენი ინტერესიდან გამომდინარე, უნდა მიმართოთ მარეალიზებელ ობიექტს, რასაც აკეთებთ, ან უნდა დაუკავშირდეთ შემომტანს. ამ შემთხვევაში არაფერს ნიშნავს შპს „ლიზი“, რომელიც ჩვეულებრივი დისტრიბუტორია, იმასთან საქმე არ გვაქვს, რადგანაც მან შემოიტანა და ჩვენ ვერ დავუმტკიცებთ, რა პროდუქტი იქნა შემოტანილი. ფაქტია, რომ სარეალიზაციოდ არის უვარგისი ქათამი დადებული. ვიმეორებ, აქ მთავარია, ის, რომ მენეჯერი ვერ გპასუხობთ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

**ამ საუბარში ვართ და ჩვენთან მოდის „ფრესკოს“ იურისტი, ნატა ბუცხრიკიძე და აქ იწყება საინტერესო ამბავი. ქალბატონ იურისტს პირველი დანახვისთანავე არ მოვეწონვარ (რათა, ადამიანო?) და სურათის გადაღებაზე სასტიკ უარს ამბობს, ეგ ჩემი უფლებააო. ასევე სასტიკი წინააღმდეგია იმისა, რომ საუბარი ჩავიწეროთ:**

– მე მოვედი მომხმარებელთა ფედერაციის თანამშრომელთან სალაპარაკოდ და არა თქვენთან.

**— რას ნიშნავს, ჩემთან სალაპარაკოდ არ მოხვედით? მე ჩემს პირად ამბებზე კი არ უნდა გეჭორაოთ, ჩვენს თანამშრომელს შეემთხვა ეს ამბავი.**

– თქვენ ჩემთან არ შეგითანხმებიათ, მინდა თუ არა თქვენთან ინტერვიუ.

**— მოგიწევთ საუბარი, რადგანაც დამპალ პროდუქტს ყიდით.**

– მე „გამიკეთეს ინფორმირება“, მადონა კოიძეა მოსულიო და მასთან მოვედი. აქ ჩემი უფლებები ირღვევა (აუფ!), მე აქ დასაკითხად არ ვარ. თქვენ ან გამორთავთ თქვენს მოწყობილობას და მე კოიძეს დაველაპარაკები, წინააღმდეგ შემთხვევაში...

**— რა უფლებებზე მელაპარაკებით, კი, მაგრამ იმ ადამიანის უფლებები არ დაირღვა, უვარგისი პროდუქტი რომ მიჰყიდეთ? თქვენ, რასაც ვხედავ, სათქმელი არ გაქვთ, იმიტომ იქცევით ასე და ეს გასაგებია.**



– მე არ მინდა ინტერვიუ.

**— ნუ გინდათ. ისე, ეს ინტერვიუ კი არა, კომენტარია.**

– დავამთავროთ ამით. მომხმარებელთა ფედერაციამ ოფიციალურად მომწეროს და ოფიციალურად ამაზე პასუხს მიიღებთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი კომპანია ნამდვილად მომხმარებლის ინტერესებს იცავს და ეს ჩვენი ლაპარაკი ნუ დაიბეჭდება, თორემ სასამართლოში მოგიწევთ პასუხისგება.

**— უკეთესია თქვენს დამპალ ქათმებს მიხედოთ, მომხმარებელს რომ აჩეჩებთ. რა დავწერო და რა არა, ეს თქვენი გადასაწყვეტი არ არის...**

**ამის შემდეგ უკვე სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს, გიგა ქურდოვანიძეს ვუკავშირდებით:**

– „ალიას“ ჟურნალისტმა ჩვენთან მოიტანა „ფრესკოში“ შეძენილი ქათამი, ვადასტურებ, რომ ის იყო გაფუჭებული. პროდუქტს აშკარად ეტყობოდა ლპობის ნიშნები, ჰქონდა მძაფრი, უსიამოვნო სუნი და ეს იყო პირველი მანიშნებელი იმისა, რომ ეს ნამდვილად საკვებად უვარგისია. წარმოდგენილ ნიმუშს თან ახლდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ქვითარი და, შესაბამისად, ჩვენმა სამსახურმა გააფორმა შეტყობინება, რომ სათანადო სამსახურებს განეხორციელებინათ სავაჭრო ობიექტის შემოწმება, რაც იმავე დღეს მოხდა. ავიღეთ ნიმუშები და ყველაფერი გადაიგზავნა ლაბორატორიაში, რამდენიმე დღეში გახდება პასუხი ცნობილი, დამატებით კიდევ რა აღმოჩნდება. ფაქტია, ლაბორატორიის გარეშეც ჩანდა, ქათამი გაფუჭებული იყო. ჩვენებმა მაღაზიას დოკუმენტაციაც შეუმოწმეს და ნახეს ვადაგასული პროდუქცია, არა მარტო ქათამი, არამედ სხვა პროდუქტიც. ჩვენ განვიხილავთ ამ მაღაზიის არაგეგმურ შემოწმებას. ამის შემდეგ მაღაზია დაჯარიმდება და თუ აღმოჩნდა, რომ იქ არის კრიტიკული შეუსაბამობა, „ფრესკო“ დაიხურება და მათ მიეცემათ რეკომენდაციები, რომ გამოასწორონ მდგომარეობა. ეს ყველაფერი, სავარაუდოდ, იმის შედეგია, რომ ღამით მაცივრები ითიშება ეკონომიისთვის და ეს უნდა მოგვარდეს. საერთოდ, ასეთ სიტუაციაში დამნაშავეები არიან რეალიზატორები და არა მწარმოებლები. ამაზე კონტროლი გავამკაცრეთ და მინდა თქვენს მკითხველს მოვუწოდო თანამშრომლობისკენ, როგორც თქვენი ჟურნალისტი მოიქცა.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ ოფიციალურად მიმართავს იუსტიციის საბჭოს განცხადება/საჩივრით და მოვითხოვთ, განიხილონ ჩვენი არგუმენტირებული პრეტენზიები და სათანადო რეაგირება მოახდინონ.**

**ქვემოთ მოყვანილი წერილი, გაზეთის გამოსვლის დღესვე, ანუ ორშაბათს, 28 აპრილს, ოფიციალურად ჩაბარდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციას.**

# საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს!!!

## განცხადება/საჩივარი

გაცნობებთ, რომ შპს „გაზეთები ალია და კვირის ქრონიკა“ (შპს „ალია ჰოლდინგი“) წარმოადგენს მედიასაშუალებას, რომელიც არის ორი გაზეთის „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ მესაკუთრე. გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების გამო, ჩვენს კომპანიას უხდება სასამართლო პროცესებში მონაწილეობა, რაც ბუნებრივი პროცესია, იმის გათვალისწინებით, რომ მედიასაშუალება ემსახურება სიმართლეს, ზნეობის მაღალ სტანდარტებსა და კანონს.

2014 წლის 12 მარტს სასამართლომ (მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ) განიხილა შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსის“ სასარჩელო განცხადება შპს „ალია ჰოლდინგის“ მიმართ და მიიღო, ჩვენი აზრით, მიკერძოებული და უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც, თავის მხრივ, ნერგავს უპრეცედენტო პრაქტიკას. აღნიშნული პრაქტიკის გათვალისწინებით, მედიასაშუალების ფუნქციონირება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ექსპერტის დასკვნებს და რეალური ფაქტობრივი მდგომარეობის გადმოცემის უფლება მედიას ჩამოერთვა.

სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გაზეთში გამოქვეყნებული მასალა აღმოჩნდა გამოგონილი, ჟურნალისტი – მატყუარა და შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი – ყალბი განცხადების გამავრცელებელი. შედეგად მივიღეთ ცნობის გამოქვეყნების ვალდებულება, სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების ვალდებულება, ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაწესდა მედიასაშუალების ფუნქციის უკანონოდ შეზღუდვა.

ამავე დროს მნიშვნელოვანია ის საპროცესო-მატერიალური ნორმების დარღვევები, რაც ახლავს გადაწყვეტილების მიღებას.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის გამოყენებით, სასამართლო ავალებს გაზეთ „ალიას“ ჟურნალისტს სტატიის დასაწერად ექსპერტის დასკვნის მიღებას. მუხლის ამგვარი განმარტება არასწორია, რადგან ის მიმართულია კანონით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვისკენ. პირიქით, მე-7 მუხლი წარმოადგენს სიტყვისა და გამოხატვის უფლების გარანტს და ამ უფლების შეზღუდვის წინააღმდეგია. თუ ჟურნალისტს არ აქვს უფლება, დაწეროს იმ რეალურ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელიც მოხდა (მას უშუალოდ შეემთხვა, როგორც მოქალაქეს) და დავავალებთ ექსპერტიზის ჩატარებას, რომელიც, პირველ რიგში, დაკავშირებულია დროსთან და მერე ხარჯებთან, მაშინ მივიღებთ შემდეგ სურათს: ყველა ფაქტი და მოვლენა უნდა გადიოდეს ექსპერტიზას და მხოლოდ ექსპერტის დასკვნის საფუძველზე გამოვიყენოთ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება. ასეთი პრაქტიკის დანერგვა ზღუდავს კონსტიტუციითა და კანონით გარანტირებულ უფლებას და პირდაპირ აფერხებს მედიასაშუალებების ფუნქციონირებას.

სასამართლომ არასწორად გამოიყენა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი – საჯარო პირის ცილისწამება. აღნიშნული მუხლის თანახმად: პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისთვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისთვის წინასწარ იყო ცნობილი, ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად: საჯარო პირი არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს, ზოგადად, უნდა გამოეყენებინა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, რომლის თანახმადაც: პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისთვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ გაზეთში გამოქვეყნებული მასალა იყო არსებითად მცდარი და სასამართლომ თავად აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ვერ წარუდგინა ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულება.

სასამართლომ არასწორად განსაზღვრა სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 თავით გათვალისწინებული მუხლები. კერძოდ, მოსარჩელეს ჰქონდა ორი მოთხოვნა – ცნობის გამოქვეყნება და მორალური ზიანის დაკისრება 1000 000 ლარის ოდენობით; მხოლოდ ცნობის გამოქვეყნების მოთხოვნა თავის შინაარსით წარმოადგენს არაქონებრივ დავას, რომლის სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით, ხოლო მორალური ზიანის დაკისრების მოთხოვნა გამოიხატა კონკრეტულ თანხაში, რის გამოც პროცესით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრა 5000 ლარით (3%, მაგრამ არა უმეტეს 5000 ლარისა, იურიდიული პირების შემთხვევაში). შემდგომი ეტაპი სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას განსაზღვრულია საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით, რომელიც არეგულირებს სასამართლო ხარჯების განაწილებას მხარეთა შორის. აღნიშნული მუხლის საფუძველზე თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლით აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლო გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული. სასამართლო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მხოლოდ მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა ცნობის გამოქვეყნებას, ხოლო 1 000 000 ლარის ოდენობით თანხის დაკისრების ნაწილში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კანონით გათვალისწინებული ნორმა.



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსამართლე თამაზ ურთმელიძის მოქმედებები უნდა შეფასდეს კანონის უხეშ დარღვევად და მის მიმართ განხორციელდეს შესაბამისი მოქმედებები.

*შპს „გაზეთები ალია და კვირის ქრონიკა“ დამფუძნებელი*
***გიორგი ბრეგვაძე***

**„ასავალ-დასავალის“ მე-16 გვერდზე გამოქვეყნებულ მასალას, რატომღაც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომ ტექსტი სარეკლამოა. არადა, საოცარი და საინტერესოა, სამართლიანობის აღდგენისთვის დაუღალავად მებრძოლი ერთ-ერთი ფლაგმანი გაზეთი ასეთი თემებით, როგორც გვახსოვს, ადრე არ ინტერესდებოდა.**


სუპერმარკეტების ქსელ „ფრესკოს“ დაბალი ფასების საიდუმლო გაშიფრულია!

# სკანვორდი

ავტორი ლალი ზანდუკელი 2 23-11-28

1. წერაში სიტყვების პირობითი შემოკლება
2. სფეროს ორი წერტილის შემაერთებელი ხაზი, რომელიც გადის მის ცენტრში
3. ხელფასის „პრელუდია“
4. ერთნახადი სუსტი არაყი
5. კიბერნეტიკის „მამა“
6. იტალ. ფეხბურთის ერთერთი გრანდი
7. იგივეა, რაც ათასწლეული
8. სამრეწვ. საწარმოთა გაერთიანების ფორმა
9. ჩაქაფულის მოსამზადებ. მწვანილი
10. მაღალი თანამდებობის პირის მხლებლები
11. ტყის მცველი
12. პატარა საწნახელი
13. დიდი ფრანგი ფილოსოფოსი
14. მოძღვრ. ადამიანის მოდგმის სრულყოფის შესახებ
15. თოვლის ჯიქი
16. სპილენძის მონეტა ძვ.რომში
17. საგანგებოდ გამხმარი ხილი
18. ცხრა მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
19. კოლოს ნაკბენით გამოწვეული ციება
20. სიკვდილის ანგელოზი იუდაისტურ მითოლოგ.
21. ორცოლიანობა ან ორქმრიანობა
22. ინდუსების სულიერი მოძღვარი
23. სპორტ. ორთაბრძოლა ხელთათმანებით
24. ღვთაებრივი მხსნელი
25. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
26. თეატრალური პიესის გეგმა
27. ფსევდონიმი ინტერნეტში
28. იგივეა, რაც ერბოკვერცხი
29. ლიხტენშტეინის დედაქალაქი
30. აღჭურვილობა, საჭურველი
31. ვაჭრების მეთაური „ვეფხისტყაოსანში“
32. ჰოლივ. ექსვარსკვლავი გრეტა ...
33. მთა თბილისში
34. „ოტელოს“ პერსონაჟი
35. ბომბეის ახლანდელი სახელწოდ.
36. ძვირფასმატყლიანი ცხვრის ჯიში
37. შხამიანი გველი
38. სპორტის სახეობა
39. საფრანგეთის ყველაზე გრძელი მდინარე
40. ხრიკი, ფანდი
41. მედიცინის დარგი, სწავლობს კანს
42. ებრაელთა წინამძღოლი
43. მოხეტიალე მუსიკოსი ძვ. გერმანიაში
44. ზამბიის დედაქალაქი
45. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
46. გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთ.
47. ხილის კანქვეშა ნაწილი
48. სიმებიანი საკრავი
49. მუსლიმანთა „მღვდელი“
50. ფშაველთა ღვთაება
51. „წითელი ჯვრის“ დამაარსებელი
52. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
53. იგივეა, რაც თავმდები
54. პარაზიტის ახალგაზრდა ფორმა
55. მაღალმთიანი სოფელი დუშეთის რაიონში
56. თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში
57. სახორცე ჯიშის ქათამი
58. კაპიტან ნემოს ლიტერატ. „მამა“
59. თვითმფრინავის კიბე
60. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში
61. იესო ქრისტე ყურანში
62. წარწერა საფლავის ქვაზე
63. საკოსტიუმე ქსოვილი
64. ქალაქი ტეხასის შტატში
65. სპოროვანი მცენარე
66. გასულ წელს ანუ ...
67. მუსიკოსთა დიდი კოლექტივი
68. თვითმფრინავის ფრენის მარშრუტი
69. ციხე „გრაფ მონტე-კრისტოში“
70. დაკლული საქონლის შიგნეულობა
71. იგივეა, რაც კლიმატი
72. გლუ-ვი ქვა
73. მტაცებ. ფრინველი
74. კაციჭამია გოლიათი კელტურ მითოლოგ.
75. ამერიკული ავტომარკა
76. იზმირის ძველბერძნული სახელი
77. ტბა იტალიაში
78. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში
79. ოპერა „ლელას“ ავტორი
80. იალქნის დასამაგრებელი ძელი
81. მოქალაქეობის ჩამორთმევა ძვ.რომში
82. კურკოვანი ხეხილოვანი მცენარე
83. განხეთქილების ქალღმერთი
84. სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება
85. ქალაქი რუსეთში
86. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
87. საქართველოს პრემიერმინისტრი
88. სათესლე ჯირკვლის ანთება
89. შვიდდღიანი მონაკვეთი ძვ.ქართ.
90. „ფოლკსვაგენის“ მოდელი
91. რიცხვის მეათასედი ნაწილი
92. თურქეთის ძველი სახელწოდ.
93. ძველბერძნული ორყურა ჭურჭელი
94. ტრადიციული ჯაზის ანსამბლი
95. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
96. სტალინის მშობლიური ქალაქი
97. ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
98. პატარა მყარი დანახნაგებული სხეული
99. თურქ. ტელესერიალი „ქალბატონი ...“
100. ორსული საქონელი
101. შინაური თხის წინაპარი
102. წვრილი უკურკო ქიშმიში
103. ქალის ძველებური გრძელი მოსასხამი
104. ილიას „კაცია-...!?“
105. პლან. იუპიტერის ძველქართ. სახელწოდ.
106. განსხვავებული ფერის ზოლი ქსოვილზე
107. დაუმუშავებელი ბრილიანტი
108. გამსახურდიას ნოველა „ქოსა ...“
109. აფრიკული შხამიანი ბუზი
110. ჭამის სურვილი
111. მუსულმანურ ქვეყნებში გავრცელებული ფუნჯიანი ქუდი
112. ბოლივიის ოფიციალური დედაქალაქი
113. სამშენებლო ქვა
114. შვეიცარიის უდიდესი ქალაქი
115. მონღოლეთის ფულის ერთეული
116. რბილი სასის ნაწილი
117. ნადირობა აფრიკაში
118. შენობის ფასადის წინ გამოწეული ნაწილი
119. მოხარშული ბრინჯის კერძი
120. ინდონეზიის კუნძული
121. მსახიობი აიშვარია ...
122. პოეტი ... ორჯონიკიძე
123. მწერალი ... მორჩილაძე
124. საძირკვლად დადებული ძელი
125. პლატონ სამანიშვილის ცოლი
126. ლატვიის დედაქალაქი
127. მუსიკალ. გამის V ნოტი
128. სასვენი ნიშანი
129. „ჭრელი მთები“ აზიაში
130. ქართული მართლმადიდებლური მონასტერი თელავის რაიონში
131. ქართველ ტომთა უძველესი სახელმწიფო
132. ირლანდია ირლანდიურად
133. ჯუჯა ცხენი
134. ... ულენშპიგელი
135. პიპინია ერისთავის ვაჟი
136. რუსეთის ინტერნეტდომენი
137. სამკურნალო დაწესებულება
138. ლიტვის ეროვნული ვალუტა
139. ფუჭი, უშედეგო
140. კატის გასაგდები მეძახილი
141. რუსი საბჭოთა ილუზიონისტი
142. შხამიანი გველი
143. ლოგინის ნაწილი
144. მიწის დასამუშავებელი იარაღი
145. მზის ღმერთი აცტეკთა მითოლოგიაში
146. მიმართვა გერმანელი ქალისადმი
147. თანაბარი ანგარიში სპორტში
148. აქლემის მატყლი
149. დიზენტერიის ქართული ხალხური სახელწოდ.
150. სურათი ზღვის ხედით
151. (ძვ.) თავხედი, ურცხვი, ურიფარი
152. ღამის ფრინველი
153. ავადმყოფური მიდრეკილება ქურდობისადმი




პასუხები: 1. აბრევიატურა; 2. დიამეტრი; 3. ავანსი; 4. რახი; 5. ვინერი; 6. „იუვენტუსი“; 7. მილენიუმი; 8. ტრესტი; 9. ტარხუნა; 10. ამალა; 11. ეგერი; 12. ორე; 13. ვოლტერი; 14. ევგენიკა; 15. ირბისი; 16. ასი; 17. ჩირი; 18. ნონეტი; 19. მალარია; 20. ავადონი; 21. ბიგამია; 22. გურუ; 23. კრივი; 24. მესია; 25. ავი; 26. სცენარი; 27. ნიკი; 28. ომლეტი; 29. ვადუცი; 30. ამუნიცია; 31. უსამი; 32. გარბო; 33. ელია; 34. კასიო; 35. მუმბაი; 36. რამბულიე; 37. ასპიტი; 38. ბილიარდი; 39. ლუარა; 40. ოინი; 41. დერმატოლოგია; 42. მოსე; 43. შპილმანი; 44. ლუსაკა; 45. ილორი; 46. ნოივილი; 47. რბილობი; 48. გიტარა; 49. მოლა; 50. ლაშარი; 51. დიუნანი; 52. ამინ; 53. გარანტი; 54. ლარვა; 55. მუცო; 56. ოფსაიდი; 57. ბროილერი; 58. ვერნი; 59. ტრაპი; 60. იანძი; 61. ისა; 62. ეპიტაფია; 63. ტვიდი; 64. ჰიუსტონი; 65. გვიმრა; 66. შარშან; 67. ორკესტრი; 68. ტრასალა; 69. იფი; 70. ლივერი; 71. ჰავა; 72. სიპი; 73. ძერა; 74. ოგრი; 75. „ვილისი“; 76. სმირნა; 77. იზეო; 78. კრკი; 79. ლაღიძე; 80. ანძა; 81. ატიმია; 82. ბალი; 83. ერიდა; 84. აპელაცია; 85. ომსკი; 86. ვენესუელა; 87. ღარიბაშვილი; 88. ორხიტი; 89. მსგეფსი; 90. „პასატი“; 91. პრომილე; 92. ოსმალეთი; 93. ამფორა; 94. დიქსილენდი; 95. რტო; 96. გორი; 97. ალია; 98. კრისტალი; 99. დილა; 100. მაკე; 101. ნიამორი; 102. საბზა; 103. ტალმა; 104. ადამიანი; 105. დია; 106. არშია; 107. ალმასი; 108. გახუ; 109. ცეცე; 110. მადა; 111. ფესი; 112. სუკრე; 113. ტუფი; 114. ციურიხი; 115. ტუგრიკი; 116. ნაქი; 117. საფარი; 118. რიზალიტი; 119. ფლავი; 120. სუმატრა; 121. რაი; 122. იზა; 123. აკა; 124. დირე; 125. მელანო; 126. სუმატრა; 127. სოლ; 128. მძიმე; 129. ალათაუ; 130. შუამთა; 131. დიაოხი; 132. ეირე; 133. პონი; 134. ტილ; 135. აგული; 136. რუ; 137. კლინიკა; 138. ლიტი; 139. ამაო; 140. აცხა; 141. კიო; 142. ეფა; 143. ლეიბი; 144. თოხი; 145. ინტი; 146. ფრაუ; 147. ფრე; 148. სტევი; 149. ყვანა; 150 მარინა; 151. ლირფი; 152. ბუ; 153. კლეპტომანია. გამუქებულ უჯრებში იკითხება: ბილიარდი.

## ხელოვნური განაყოფიერება: თანდაყოლილი დეფექტების რისკი



ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში დამხმარე რეპროდუქტიული ტექნოლოგიების წყალობით 3,7 მილიონზე მეტი ბავშვი იბადება. ჩვეულებრივ, სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც აღნიშნული მიმართულებით მუშაობენ, ამტკიცებენ, რომ პროცედურები ყოვლად უსაფრთხოა და ეს ბოლო მომენტამდე ყველას ასე ეგონა. აი, ავსტრალიელი მეცნიერების აღმოჩენამ კი სიტუაცია რადიკალურად შეცვალა - მათი მტკიცებით, ხელოვნური განაყოფიერების შედეგად, ბავშვებში გაცილებით ხშირია თანდაყოლილი დეფექტები და სხვა პათოლოგიები.

ადელაიდას რობინსონის სახელობის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა უპრეცედენტო მასშტაბების მქონე კვლევა ჩაატარეს. მათ 1986 წლიდან 2002 წლის ჩათვლით მშობიარობისა და ფეხმძიმობის შეწყვეტის 327 ათას 420 შემთხვევა შეისწავლეს. მათ პირველად შეადარეს თანდაყოლილი დეფექტების სიხშირე ხელოვნურ განაყოფიერებას და ასევე, უნაყოფობის მკურნალობის სხვა მეთოდებს.

მიღებული შედეგებიდან ირკვევა, რომ ხელოვნური განაყოფიერებისას თანდაყოლილი დეფექტების გაჩენის რისკი 8,3 პროცენტია მაშინ, როცა ბუნებრივი ფეხმძიმობის დროს ანალოგიური რისკის მაჩვენებელი 5,8 პროცენტია.

მართლაც უპრეცედენტო მასშტაბების მქონე კვლევა ბოლომდე მიყვანილი ჯერ კიდევ არ არის. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ შეძლებენ იმის დადგენას, რატომ ახლავს ხელოვნურ განაყოფიერებას თანდაყოლილი დეფექტები, რათა შემდგომში უკვე კონკრეტულ მიზეზებთან ბრძოლა დაიწყონ.

***vesti.ru***

## პოლიეთილენისგან შექმნილმა ნიღაბმა „კალაშნიკოვის“ მიბჯრით სროლას გაუძლო



მორიგი გასაოცარი სიახლე აქვს ამერიკის სამხედრო ინდუსტრიას – ნიღაბი „ფასტ ჯიჰეი“, რომელმაც, შეიძლება ითქვას, თავისი შემქმნელებიც კი უსაზღვროდ გააკვირვა.

ნიღაბი განსაზღვრულია ქვეითების დასაცავად აფეთქების ტალღისგან და მისი წონა, სულ რაღაც 400 გრამია. ამასთანავე, ყველასთვის მოულოდნელად ის შესანიშნავი დამცავი აღმოჩნდა „კალაშნიკოვის“ ტყვიისგან.

სპეციალისტების თქმით, ახალი თაობის ნიღაბი პოლიეთილენის გამოყენებითაა შექმნილი, რომელიც ლითონის ნიღაბზე ბევრად გამძლეა, თუმცა წინა ვერსიებს „კალაშნიკოვი“ ასეულობით მეტრიდან მაინც ხვრეტდა. ახლა სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია.

– არასწორად არ გამიგოთ, მაგრამ მტკივნეული იქნება, – განმარტავს ამერიკის საზღვაო ქვეითთა კორპუსის ყოფილი კომანდორ-სერჟანტი რაიან ბოუზერი, რომელიც ნიღბის ერთ-ერთი ავტორია, – შესაძლოა, ძალიან მტკივნეულიც, მაგრამ ეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე ალტერნატიული ვარიანტი: ჩვეულებრივ, როცა ადამიანს „კალაშნიკოვის“ ტყვია სახეში ხვდება, ტკივილს ვერ გრძნობს, რადგან უკვე მკვდარია...

იმის გათვალისწინებით, რომ ნიღაბი ადამიანს „კალაშნიკოვისგან“ იცავს, ადვილი წარმოსადგენია, რამდენად ეფექტურად შეასრულებს ის უმთავრეს დანიშნულებას – ჯარისკაცის ნამსხვრევებისგან დაცვას.

ჯერჯერობით, რატომღაც ახალი ნიღაბი ამერიკის შეიარაღებაში ოფიციალურად არ ირიცხება. როგორც ჩანს, მისი სრულყოფა არ დასრულებულა, თუმცა ფაქტია, პირვანდელი შედეგითაც კი კონტინენტსგაღმელები ძალიან კმაყოფილები უნდა იყვნენ.

***science.compulenta.ru***

## იაპონელებმა მზის ზუსტი დიამეტრი განსაზღვრეს



რა მაგრები არიან ეს იაპონელები, ისიც კი იციან ზუსტად, როგორია მზის დიამეტრი და დანარჩენ მსოფლიოს ამაშიც ჯობნიან.

როგორც ირკვევა, იაპონიის ნაციონალური ობსერვატორიის სპეციალისტებმა რკალისებური დაბნელების დროს, რომელიც გასულ დღეებში დაფიქსირდა, მზის დიამეტრის შესახებ ზუსტი მონაცემების მიღება შეძლეს.

მიღებული შედეგების საკმაოდ ხანგრძლივი შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ მზის ზუსტი დიამეტრია 1 მილიონ 392 ათას 20 კილომეტრი.

მრავალი წლის მანძილზე ასტრონომები მთელი მსოფლიოდან ცდილობდნენ, მზის დიამეტრი განესაზღვრათ, თუმცა ამ დრომდე მიზნის მიღწევა ვერ ხერხდებოდა, რადგან მუშაობაში მეცნიერებს მზის დისკის სიკაშკაშე უშლიდათ ხელს.

შედარებისთვის, დედამიწის დიამეტრი „სულ რაღაც“ 12 ათას 756,2 კილომეტრია.

***vesti.ru***

## ბავშვს გასუქებისგან მშობლის... საწოლი გადაარჩენს?



მოგეხსენებათ, ზოგადად, სიმსუქნე, განსაკუთრებით კი – ბავშვებში, თითქმის მთელი მსოფლიოს ძალიან დიდი პრობლემაა. საამისოდ ნორმალურ ქვეყნებში სპეციალური პროგრამები მოქმედებს, რათა ბავშვებს ამ სერიოზულ უსიამოვნებასთან გამკლავებაში დაეხმარონ. გარდა ამისა, ტარდება უამრავი კვლევა, რომელთაგან ერთ-ერთზე ქვემოთ მოგიყვებით.

– მშობლები, რომლებიც უფლებას აძლევენ თავიანთ შვილებს, ღამით მათ საწოლში შეძვრნენ, ბავშვებში გასუქების რისკს ამცირებენ, – ამტკიცებენ დანიელი მეცნიერები ახლად ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე.

კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვები, რომლებიც მშობლებთან ღამით არასოდეს დაწოლილან, 3-ჯერ მეტად არიან მიდრეკილები სიმსუქნისკენ, იმათგან განსხვავებით, ვინც დედ-მამასთან იძინებს ხოლმე.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ მშობლებთან უშუალო სიახლოვე ბავშვებს ძალიან დიდი ემოციური თანაგრძნობის შეგრძნებას უჩენს, რომელსაც შეუძლია, ისინი დაიცვას არა მხოლოდ სიმსუქნისგან, არამედ კიდევ ძალიან ბევრი უსიამოვნებისგან.

გეტყვით იმასაც, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა კოპენჰაგენის პროფილაქტიკური მედიცინის ინსტიტუტის სპეციალისტებმა ჩაატარეს, რომელშიც სიმსუქნისკენ მიდრეკილი 2-დან 6 წლამდე 645 ბავშვი იყო ჩართული.

***wordscience.org***

## რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს კალცის დანამატების მიღებას?



ამ ნივთიერების ნაკლებობა არაერთ პრობლემას აჩენს, თუმცა მისი გადამეტებული კონცენტრაცია კიდევ უფრო სავალალო შედეგების მომტანი აღმოჩნდა.

– კალცის დანამატების მიღება შესაძლოა, გულის შეტევით დასრულდეს, – ასეთ დასკვნამდე გერმანელი მეცნიერები მივიდნენ ჰაიდელბერგის კიბოს კვლევის ცენტრიდან.

ექიმების შესწავლის ობიექტი გახდა 24 ათასი პაციენტის ანკეტა, რომლებიც ბოლო 10 წლის მანძილზე იყო გახსნილი.

სპეციალისტების ყურადღების ცენტრში მოექცნენ ადამიანები, რომლებიც იღებდნენ კალცის დანამატებს და რომლებიც მას არ სვამდნენ. პირველ შემთხვევაში, გულის შეტევები შემთხვევათა 86 პროცენტში დაფიქსირდა, ხოლო მეორე ჯგუფში მხოლოდ და მხოლოდ – 5 პროცენტში.

გერმანელი სპეციალისტები განმარტავენ, რომ ჩვეულებრივ, კალცი ინიშნება ძვლის გასაძლიერებლად, ასევე, ოსტეოპოროზისა და მოტეხილობების პროფილაქტიკისთვის. მაგრამ ყოველთვის დადებითად არ მოქმედებს ის გულსისხლძარღვთა მდგომარეობაზე. ამდენად, კალცის მიღება აუცილებელია მხოლოდ და მხოლოდ ექიმის კონტროლქვეშ, რომელსაც შეუძლია პრეპარატის დოზის ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრა.

***medkarta.com***

## ოჯახის დანგრევის მიზეზი ხუთასზე მეტი... კატა გახდა



კაცო, ოჯახი კი არა, ამდენმა კატამ, შესაძლოა, სახელმწიფო დაანგრიოს და გაანადგუროს... გააცამტვეროს.

როგორც ირკვევა, ისრაელში მამაკაცი ცოლს იმის გამო გაშორდა, რომ ამ უკანასკნელმა სახლში 550 კატა შეიფარა.

განქორწინება ქალაქ ბეერ-შევას რელიგიურმა სასამართლომ გააფორმა, რითიც ქმარი უსაზღვროდ გაახარა.

რაბინებით დაკომპლექტებული სასამართლოს წინაშე სიტყვით გამოსვლისას, მამაკაცმა (ვინაობა არ ზუსტდება), გულწრფელად ისაუბრა იმის შესახებ, რომ უბრალოდ, აღარ შეეძლო ამდენ კატასთან ერთად ცხოვრება. მისი თქმით, კატები საშუალებას არ აძლევდნენ, ნორმალურად დაეძინა კი არა, საჭმელი მაინც შეეჭამა. როცა ის სამზარეულოში შედიოდა, კატები ყველაფერს ხელიდან აცლიდნენ. როცა მამაკაცი საძინებელში შედიოდა, მთელი საწოლი, იატაკი და სკამებიც კი კატებს ჰქონდათ დაკავებული.

სხვათა შორის, სასამართლომ ცოლს შესთავაზა, რომ უარი ეთქვა კატებზე და არა ქმარზე, თუმცა უშედეგოდ.

მოკლედ, ისეთ უცნაურ ადამიანთან ჰქონია საქმე ებრაელ მამაკაცს და გადასარევი გადაწყვეტილება მიუღია.

***lenta.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– ექიმო, მგონი, გეი ვარ...
– მსახიობი ხართ?
– არა.
– მუსიკოსი?
– არა.
– შოუმენი?
– არა.
– აბა, ვინ ხართ?
– „მალიარი“.
– ოოო, გენაცვალე, მაშინ პიდარასტი ყოფილხართ!..

*****

– მათემატიკის მთავარი წესი: თუ მარტივად იხსნება, ესე იგი არასწორად ხსნი!..

*****



მოსამართლე დაზარალებულს:
– ფულს სად მალავდით?
– ბიუსტჰალტერში.
– მაშ, რატომ არ შეეწინააღმდეგეთ, როცა ბოროტმოქმედი მკერდში ჩაგიძვრათ?
– რა ვიცი, მეგონა, კეთილი ზრახვები ჰქონდა...

*****

ქმარი ცოლს:
– ძვირფასო, დღეს სტუმრები გვეწვევიან და რამე მოამზადე, კარგი?
– კაი, საყვარელო. შენ ის მითხარი, როგორ მოვამზადო - კიდევ რომ მოვიდნენ ხოლმე თუ აღარასოდეს?

*****

10 ფაქტი, რომლებიც მამაკაცებმა ქალების შესახებ იციან:
1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10. ქალებს აქვთ ძუძუები!!!

*****

ქალი ღამით სასაფლაოსთან მოხვდა, გავლა ეშინია. იქვე მამაკაცი დაინახა და დახმარება სთხოვა.
მიდიან ერთად, მამაკაცი ანეგდოტებს უყვება, აცინებს.
– როგორი მხიარული ბრძანდებით, შიში სულ დამავიწყეთ...
– ეჰ, თქვენ მაშინ უნდა გენახეთ, ცოცხალი რომ ვიყავი...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



მეუღლე მოცო ბილიხოძე, შვილები ლევან და ნინო ქისტაურები, ძმა გია ქისტაური, რძალი ანი მაკალათია, სიძე დავით სოხაძე, დისშვილები თამრიკო და მაია გრიგოლაშვილები, შვილიშვილები ნუცა, ლიზა, ქრისტინე ქისტაურები, თაკო, გიგი სოხაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შოთა ლევანის ძე ქისტაური**

**პანაშვიდი:** 1, 2 მაისს;
**დაკრძალვა:** 3 მაისს, 15 საათზე;
**მისამართი:** თბილისი, ყაზბეგის №29ა. მე-2 სადარბაზო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ეკონომისტი, მრავალი თაობის ეკონომისტთა აღმზრდელი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**შოთა ქისტაური**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ექიმებმა იციან, რა წამლები დანიშნონ შოპოგოლიზმის წინააღმდეგ



უი, კაცებო, მგონი, გვეშველა და ეგ არის – მინესოტას უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ საყიდლებზე სიარულის ქალების მანიაკალურ მიდრეკილება შეიძლება იმავე აბებით განიკურნოს, რომელსაც ჩვეულებრივ, ალცჰეიმერის დროს ნიშნავენ.

ამერიკელი სპეციალისტების მტკიცებით, წამლების გამოყენება საკმაოდ ეფექტურია და რაც მთავარია: პირად და ოჯახის ბიუჯეტს მაღაზიებში ხშირი სიარულისგან ზარალი აღარ მიადგება.

მაინც, რომელ პრეპარატზეა საუბარი? ყოფილა ასეთი – მომანტინი.

როგორც აღმოჩნდა, მას შოპოგოლიზმის შეკავება შეძლებია, რომელსაც მედიკოსები კომპულსიურ აშლილობად განიხილავენ.

კვლევების დახმარებით დადგინდა, რომ მიდრეკილება მაღაზიებში ფულის ხარჯვისკენ, აღნიშნული პრეპარატით 2-თვიანი მკურნალობის შედეგად, მთელი 50 პროცენტით შემცირდა.

უფრო რომ დავაზუსტოთ, კურსის მონაწილეები არა მხოლოდ ნაკლებ ფულს ხარჯავდნენ, არამედ უფრო იშვიათად ფიქრობდნენ მაღაზიებში სიარულზე.

***woman.ru***


## ვაკანსიები!!!

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთი ალია

**სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს**

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი


## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**1 მაისი:** ეს დღე დატვირთული იქნება. ბევრი წვრილმანი დაბრკოლება გექნებათ დასაძლევი.

**კურო 22.04-21.05**
**1 მაისი:** დღეს პირადი ურთიერთობები სიხარულით აგავსებთ. არსებული სიტუაციის შესანარჩუნებლად საკმაო ძალისხმევა დაგჭირდებათ. რაც უფრო ნაკლებს იფიქრებთ ამაზე დღეს, მით მეტად იწვალებთ შემდგომში.

**ტყუპები 22.05-21.06**
**1 მაისი:** აქტიური მოქმედებებისთვის შესაფერისი დღე არ არის, სამაგიეროდ, იდეალურია განსჯისთვის. საღამოსთვის სიურპრიზია მოსალოდნელი.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**1 მაისი:** თქვენთან თანამშრომლობის ნებისმიერი მცდელობა ჩაიშლება თქვენი გამძაფრებული ინდივიდუალობის გამო. შეეცადეთ, შეურაცხყოფაზე მაინც არ გადახვიდეთ.

**ლომი 23.07-22.08**
**1 მაისი:** შეიძლება საკუთარი თავისთვის პრობლემების შექმნისკენ იყოთ მიდრეკილი. უფრო მარტივად შეხედეთ სიტუაციას, იქნებ იმაზე ნაკლები სანერვიულო გაქვთ, ვიდრე გგონიათ.

**ქალწული 23.08-22.09**
**1 მაისი:** თუ დღეს რამე წვეულებას მოაწყობთ, წარმატება გარანტირებული გაქვთ – კამპანიის სული და გული იქნებით.

**სასწორი 23.09-22.10**
**1 მაისი:** დღეს ფულის მიმართ განსაკუთრებული ყნოსვა გექნებათ. იმედია, დღეს ფინანსურად მოძლიერდებით.

**მორიელი 23.10-21.11**
**1 მაისი:** თუ საშუალება გაქვთ, დღეს არ იმუშაოთ, არც ფიზიკურად, არც გონებრივად. კარგი იქნება, თუ დაისვენებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**1 მაისი:** არ ღირს იმ წარმატების შეუფასებლობა, რომელიც წილად გერგოთ. სიამოვნებას მოიკლებთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**1 მაისი:** დღეს სამოქმედო სივრცე შეიძლება შეზღუდული მოგეჩვენოთ და ამ სივრცის გაფართოებაზე იფიქროთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**1 მაისი:** ურიგო არ იქნება, თუ რბილ ხასიათს გამოავლენთ და მზად იქნებით, ვიღაცას თითქმის ყველა შეცდომა აპატიოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**1 მაისი:** მანამდე შეჩერდით, სანამ სერიოზულად აწყენინებთ ვიღაცას, ვინც თქვენთვის სულ ერთი არ არის. საკუთარი თავი ყოველწამიერად უნდა აკონტროლოთ, რათა ზედმეტები არ ილაპარაკოთ.

## იმუნიტეტს აძლიერებს... კარიერიზმი



კი გეცოდინებათ, რომ იმუნიტეტის გასაძლიერებლად უამრავი საშუალება არსებობს, თუმცა, ალბათ, იმის შესახებ არ გეცოდინებათ, რომ ამ მიზნის მიღწევაში ადამიანს კარიერიზმიც ეხმარება.

მიაქცევდით, ალბათ, ყურადღებას, რომ ექიმები ყოველთვის იმას გვირჩევენ, სამსახურში ძალიან არ დავიტვირთოთ, ზომიერად ვიმუშაოთ და კარიერულ წინსვლას ნუ შევწირავთ ჩვენს ჯანმრთელობას. მართალიცაა - სტრესები, მღელვარება, გამოუძინებლობა, იმუნიტეტს ასუსტებს, იწვევს ქრონიკულ დაავადებებს და შესაძლოა... უჰ, ამის გაფიქრებაც კი არ გვინდა.

ახლა კი ყველაფერი შეიცვალა - აღმოჩნდა, რომ კარიერიზმი ადამიანის იმუნურ სისტემას აძლიერებს, აძლევს მას შესაძლებლობას, წარმატებით გაუმკლავდეს სერიოზულ უსიამოვნებებს.

მეცნიერებმა ექსპერიმენტები პრიმატებსა და ადამიანებზე ჩაატარეს და დაადგინეს, რომ სოციალური სტატუსი პირდაპირ გავლენას ახდენს მისი „პატრონის“ ორგანიზმის თავდაცვით ფუნქციებზე. კერძოდ, ლიდერები გაცილებით იშვიათად აწყდებიან პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან, ნერვული სისტემის აშლილობებთან, ფილტვების დაავადებებთან და ასე შემდეგ.

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სამსახურებრივი დაწინაურება ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის თვალსაზრისითაც, რადგან ამით ის უფრო მაღალ სოციალურ სტატუსს მიიღებს.

ეს ყველაფერი კარგი, ვეთანხმებით მეცნიერების დასკვნას, მაგრამ მაინც გირჩევთ, საკუთარ ჯანმრთელობას ძალიან დიდი ყურადღება მიაქციოთ და კარიერული წინსვლისთვის ბრძოლაში თავი არ დაიღუპოთ. გახსოვდეთ, მაღალი სოციალური სტატუსიცა და ბევრი ფულიც არაფერია ჯანმრთელობის გარეშე!

***dr20.ru***



მთავარ ექიმს საავადმყოფოში დილის შემოვლა აქვს.
პირველი პალატა:
– დიაგნოზი?
– ბუასილი.
– რით გმკურნალობენ?
– იოდს მისვამენ.
– პრეტენზიები გაქვთ?
– არა!
მეორე პალატა:
– დიაგნოზი?
– ბუასილი.
– რით გმკურნალობენ?
– იოდს მისვამენ.
– პრეტენზიები გაქვთ?
– არა!
მესამე პალატა:
– დიაგნოზი?
– ანგინა.
– რით გმკურნალობენ?
– იოდს მისვამენ.
– პრეტენზიები გაქვთ?
– კი – პირველს მე წამისვან ხოლმე!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია »211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან( )-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.30